ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამაზი კუპრეიშვილი

ულტრანაციონალისტური ჯგუფების გავლენა ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგზე

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნათია კუპრაშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019

ანოტაცია

საქართველოში ბოლო წლებში ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურება სულ უფრო შესამჩნევი გახდა. ისინი ეროვნულობისა და ტრადიციების დაცვის მოტივით ხშირად მართავენ ძალადობრივ აქციებს, ავრცელებენ მუქარის შემცველ განცხადებებს და შესაბამისად, ხვდებიან მედიის ყურადღების ცენტრში.

ულტრანაციონალისტური ჯგუფები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს როგორც თვითორგანიზებისთვის, ისე ინფორმაციის გასავრცელებლად. ვინაიდან საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება როგორც ინტერნეტმომხმარებლების, ისე ონლაინ მედიასაშუალებების რაოდენობა, მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენენ ულტრანაციონალისტური ჯგუფები ონლაინ მედიის დღის წესრიგზე.

კვლევის მიზანია, დღის წესრიგის განსაზღვრის თეორიით გაანალიზოს, როგორ აისახება ულტრანაციონალისტების აქტივობა ონლაინ მედიის მუშაობაზე, მედია როგორ აშუქებს მათ აქტივობებს, აქვს თუ არა ჩამოყალიბებული სტრატეგია. გასაანალიზებლად შერჩეულია ღამის კლუბ „ბასიანში“ სპეცრაზმის შესვლის შემთხვევა და მასთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქება. საკვლევად გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. თეორიულ ჩარჩოდ შეირჩა დღის წესრიგის თეორია. კვლევის მეთოდად კი გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუ, ხოლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდად - კონტენტ ანალიზი. კონტენტ ანალიზისთვის შეირჩა ახალი ამბების ხუთი ყველაზე პოპულარული ვებსაიტი (On.ge, Interpressnews.ge, Tabula.ge, Marshalpress.ge და Reportiori.ge). ასევე, სარედაქციო მიდგომების შესასწავლად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ამ მედიასაშუალებების რედაქტორების ნაწილთან.

საკვანძო სიტყვები (Keywords): ულტრანაციონალისტები, ონლაინ მედია, სოციალური ქსელები, ღამის კლუბები.

Abstract

Ultra-nationalist groups have become increasingly noticeable in Georgia in recent years. In the name of traditions and “saving the nation” they organise violent protest rallies and spread hate speech. Accordingly, they gain pretty much media coverage.

Ultra-nationalist groups actively use social networks for self-organising and spreading their ideology. Wherethrough, number of internet users and online news is distinctively increasing in recent years, it’s very important to research what kind of influence they have upon the setting agenda in online media.

The goal of the research is to analyze based on the agenda setting theory, how ultra-nationalist groups’ activities reflect on online media, if online media have any strategy and if so, how it works.

for researching these topics quantitative (content analyzes) and qualitative (deep interviews) methods have been used. for content analyzes 5 most popular online news outlets (On.ge, Tabula.ge, Marshalpress.ge, Reportiori.ge and Interpressnews.ge) have been selected, also deep interviews have been conducted with 3 editors. 2 of them declined to participate in the research.

keywords: ultra-nationalists, night clubs, online media, social networks.

შინაარსი

შესავალი 7

1. ლიტერატურის მიმოხილვა 10

2. შემთხვევის აღწერა 15

3. კვლევის დიზაინი 18

3.1. საკვლევი კითხვები 18

3.2. კვლევის ჰიპოთეზა 18

3.3. კვლევის მეთოდოლოგია 19

3.4. შერჩევა 19

4. კვლევის შედეგები და ანალიზი 21

4.1. ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება 12 მაისის სპეცოპერაციამდე პერიოდში 23

4.1.1. ღამის კლუბებში მომხდარი სავარაუდო ნარკოდანაშაულობები 23

4.1.2. ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება 17 მაისისა და რუსთავი 2-თან გამართული აქციის კონტექსტში 27

4.2. ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება სპეცოპერაციის დაწყებიდან ღამის კლუბების გახსნამდე (12-23 მაისი) 28

4.3 ულტრანაციონალისტების გაშუქება ბასიანის გახსნის შემდეგ (23 მაისი - 6 ივნისი) 33

4.4. ონლაინ მედიის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია 34

4.4.1. ტაბულა 35

4.4.2. On.ge 36

4.4.3. სხვა მედიასაშუალებები 36

4.5. სარედაქციო პოლიტიკა ულტრანაციონალისტების გაშუქებისას 37

დასკვნა 48

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 49
კვლევის ლიმიტი 51
გამოყენებული ლიტერატურა 52
დანართი 60

ტერმინთა განმარტება

ნაციონალიზმი - იდეოლოგია, რომელიც ემყარება პირობას, რომ ინდივიდის თავდადება და ერთგულება ერი-სახელმწიფოს მიმართ უპირატესია სხვა ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ ინტერესზე (Encyclopedia Britanicca, online).

ულტრანაციონალისტები - ადამიანთა ჯგუფი, რომელიც იყენებს ფუნდამენტურ დემოკრატიულ საშუალებებს მკვეთრად ანტიდემოკრატიული რიტორიკის გასავრცელებლად, რაც გაჯერებულია რასიზმით, დისკრიმინაციით, ანტისემიტიზმით და ა.შ. (Staal, 2014).

ლიბერალიზმი - პოლიტიკური ფილოსოფია, რომლის პრიორიტეტია ინდივიდთა პირადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, მმართველობის დემოკრატიული ფორმები (ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, 1999).

კონსერვატიზმი - იდეურ–პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის მიზანია შეინარჩუნოს მდგრადი ტრადიციები და წინ აღუდგეს რადიკალურ ცვლილებებს (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, 2004).

ანტილიბერალური ჯგუფები - ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება ლიბერალიზმს (Merriam-Webster, online).

ულტრამემარჯვენე ჯგუფები - ადამიანთა ჯგუფი, რომელთა პოლიტიკური შეხედულებები ყველაზე კონსერვატიულია. (Merriam-Webster, online).

ნაციზმი - გერმანული ფაშიზმის ერთ-ერთი სახელწოდება (მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, 2004).

ნეონაცისტური ჯგუფები - ნეონანცისტური ჯგუფები იზიარებენ სიძულვილს ებრაელების მიმართ და უყვართ ნაცისტური გერმანიის ლიდერი ადოლფ ჰიტლერი. ამასთანავე, მათ სძულთ სხვა უმცირესობები, გეები და ლესბოსელები, ასევე ზოგ შემთხვევაში ქრისტიანებიც, თუმცა მთავარ მტრად ებრაელებს განიხილავენ (SPLC, online)

ფაშიზმი - ანტი ჰუმანიზმის, რასიზმისა და შოვინიზმის მებრძოლი იდეოლოგია, ან ასეთი სახის იდეოლოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკური მიმდევრობა, აგრეთვე, ღია პოლიტიკური დიქტატურა, რომლის მიზანია დემოკრატიის განადგურება, ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება და დაპყრობითი ომების წარმოება (მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, 2004).

ჰომოფობია - ჰომოფობია ჰომოსექსუალი ადამიანების მიმართ სიძულვილსა და ზიზღს აღნიშნავს და უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვაა (გაბუნია, ვაჭარაძე. 2013).

კლუბური ნარკოტიკი - კლუბური ნარკოტიკი არის სახეობა ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა, რომელიც მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს ხაზიათის, განწყობისა და აღქმის ცვლილებას. აღნიშნულ ნარკოტიკებს, ძირითადად, მოიხმარენ ახალგაზრდები ღამის კლუბებში, ბარებში და ა.შ. (US National Library of Medicine, online).

ინტერნეტი - ინტერნეტი არის ინფორმაციის მიმოცვლის გლობალური ქსელი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია უკაბელო, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით (Technopedia, online).

სოციალური მედია - ელექტრონული კომუნიკაციის ფორმა, საშუალება (ვებსაიტი), რომლითაც მომხმარებლენი ქმნიან ონლაინ ჯგუფებს ინფორმაციისა და იდეების გასავრცელებლად, ასევე პერსონალური მიმოწერისა და სხვა კონტენტის (მაგ. ფოტო, ვიდეო) გასავრცელებლად (Merriam-Webster, online).

ონლაინ მედია - პრესა, ჟურნალები, წიგნები, ტელევიზია, რადიო, და რეკლამა, რომელიც ინტერნეტშია დამკვიდრებული (Urban dictionary, 2019).

ლგბტქ - აკრონომი, რომელიც გამოიყენება ლესბოსელების, გეების, ბისექსუალების, ტრანსგენდერებისა და ქვიარ ადამიანების აღსანიშნად (Mediachecker, 2019)

შესავალი

საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააქტიურდა სხვადასხვა ულტრანაციონალისტური ჯგუფი. ისინი მუდმივად ცდილობენ, გარკვეული მოვლენებისა და საზოგადოების ყურადღების ეპიცენტრში ყოფნას და ხშირ შემთხვევაში არ ერიდებიან როგორც სკანდალურ განცხადებებს, ისე - ქმედებებსაც, მათ შორის, ძალადობრივსაც. ულტრანაციონალისტური ჯგუფები ეროვნულობისა და ტრადიციების დაცვის საბაბით 2013 წელს თბილისში 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს სასულიერო პირების მეთაურობით დაუპირისპირდნენ ლგბტქ აქტივისტებს, არ მისცეს შეკრების და ამ დღის აღნიშვნის უფლება, გაარღვიეს პოლიციის კორდონი და სცადეს ლგბტქ აქტივისტებზე ფიზიკური ანგარიშსწორება (Amnesty International, 2013). მას შემდეგ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა აქტივისტებმა ძალადობრივი დაპირისპირების გარეშე ვერ შეძლეს.

“ძალადობის მომხრე” საზოგადოებრივი ჯგუფების გააქტიურების შესახებ საუბარია “ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნულ სტრატეგიაშიც”, რომელიც 2019 წელს დამტკიცდა. როგორც ამ დოკუმენტშია აღნიშნული, საქართველოში ზოგი საზოგადოებრივი ჯგუფი თუ ორგანიზაცია ქადაგებს სიძულვილს, ემხრობა ძალადობას და თავისი შინაარსით ექსტრემისტულია (საქართველოს მთავრობა, 2013).

აღნიშნული ჯგუფების გააქტიურების პარალელურად, როგორც ქავთარაძე აღნიშნავს (ქავთარაძე, 2019), ინტერნეტ სივრცეში შეიქმნა და გამრავლდნენ ჯგუფები, რომლებიც ღიად ნეონაცისტურ და ფაშისტურ იდეოლოგიას ავრცელებენ. აღნიშნული ჯგუფები

გამოირჩევიან მკვეთრად ანტილიბერალური დღის წესრიგით, ქსენოფობიური ონლაინ კონტენტის აქტიური წარმოება-გავრცელებით და ორგანიზებული ონლაინ შეტევებით სხვადასხვა ინდივიდებისა (მაგ. ქვიარ ადამიანების) თუ ლიბერალური მედიასაშუალებების სოციალური ქსელების გვერდებზე.

ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების ზრდასთან ერთად მედიის დღის წესრიგზე მათი გავლენის შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქართველოში ამ მიმართულებით კვლევები ნაკლებად მოიძებნება და მათი ქმედებები სათანადოდ არ არის შესწავლილი.

წინამდებარე კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ რა გავლენას ახდენენ ულტრანაციონალისტური ჯგუფები ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგის ფორმირებაზე, როგორ გადმოდის მედიაში მათი აქტივობები და მედიები ხომ არ არიან მათი ქმედებების მაპროვოცირებლები - მედიის გაშუქება ხომ არ განსაზღვრავს მათ კიდევ უფრო მეტად გააქტიურებას.

საკვლევ ობიექტად შერჩეული მოვლენა - სპეცოპერაცია ღამის კლუბებში - არის საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდებმა ღამის კლუბებიდან პირდაპირ ქუჩაში გადაინაცვლეს ჰუმანური ნარკოპოლიტიკის დაცვის მოთხოვნით.

ეს მოვლენა მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ აქციის პარალელურად მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ ულტრანაციონალისტური ჯგუფები და ორგანიზატორებმაც აქცია სწორედ იმიტომ დაშალეს, რომ მოერიდნენ მათთან დაპირისპირებას (ამერიკის ხმა, 2018).

მედიასაშუალებები, რომლებზეც დაკვირვება ხდებოდა კვლევის პროცესში, ქმნიან ერთგვარ საინფორმაციო ამინდს საქართველოში თავიანთი რეიტინგიდან და გავლენებიდან გამომდინარე, აღნიშნული მედიასაშუალებების მნიშვნელობას ისიც უსვამს ხაზს, რომ ისინი მუდმივად არიან სხვადასხვა საერთაშორისო კვლევების ობიექტები (UNDP, 2018)

კვლევაში აქცენტი კეთდება სოციალურ ქსელ ფეისბუკზე, ვინაიდან სწორედ ის არის საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი და ბოლო წლებში ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებს (Alexa.com, 2019).

კვლევის მეთოდად გამოყენებულია როგორც დღის წესრიგის თეორია, ისე სიღრმისეული ინტერვიუ და კონტენტანალიზი.

კვლევის თეორიული ჩარჩოა დღის წესრიგის თეორია, ხოლო მეთოდოლოგიის სახით გამოყენებულია თვისებრივი კვლევა - როგორც სიღრმისეული ინტერვიუ, ისე კონტენტანალიზი და შემთხვევათა ანალიზი.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა შემთხვევებში და რა მიზეზებით ხვდებიან ქართულ ონლაინ მედიაში ქართული ულტრანაციონალისტური ჯგუფები, ასევე როგორია მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკა მათი გაშუქებისას - რა ტერმინოლოგიას იყენებენ ულტრანაციონალისტური ჯგუფების აღსაწერად; მათი გაშუქება არის სპონტანური, მიმდინარე მოვლენებზე დამოკიდებული თუ აქვთ შემუშავებული კონკრეტული ხედვა, თუ როგორ, რა სიხშირით გააშუქონ. ასევე ულტრანაციონალისტურ ჯგუფებსა და მათ აქტივობებზე მკითხველს აწვდიან თუ არა დამატებით ინფორმაციას გარკვეული აზრის ჩამოსაყალიბებლად, თუ არიან მხოლოდ ინფორმაციის გამტარები.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

ულტრანაციონალისტური ჯგუფების საქმიანობის შესწავლა ბოლო წლებში არაერთი კვლევის სამიზნე გახდა. განსაკუთრებით აქტუალურია მსგავსი ჯგუფების მიერ ორგანიზებისა და საკუთარი აზრების გასავრცელებლად სოციალური მედიის გამოყენება და ამ გზით, მეინტრიმულ საინფორმაციო სივრცეში შეღწევა.

ქართული ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ სოციალური ქსელების გამოყენება გამოიკვლია ძველიშვილმა (ძველიშვილი, 2018), რომელიც აღნიშნავს, რომ ეს ჯგუფები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელში მათ მიერ დარეგისტირებულ ათეულობით გვერდს, რომელთა უმრავლესობა 2017 წლის შემდეგ გამოჩნდა. ისინი გამოიყენება ერთი და იმავე ნარატივის გასავრცელებლად და აქციების დასაორგანიზებლად. აზიარებენ ერთმანეთის ვიდეოებს, არიან ორგანიზებულები. შედეგად მათ მიერ შექმნილ კონტენტს ასობით ათასი ნახვა აქვს. თავად გვერდები ხშირად ხაზს უსვამენ, რომ მათი მიზანი ლიბერალურად მოაზროვნე საზოგადოებისთვის საინფორმაციო ომის მოგებაა. სოციალურ მედიაში არის გვერდები, რომელთა მომწონებელთა რაოდენობა ერთი თვის განმავლობაში 2-3 ათასით იზრდება (ძველიშვილი, 2018).

სოციალური მედია, ბოიდისა და ელისონის (Boyd and Ellison, 2008) მიხედვით, არის ვებპლატფორმაზე დაფუძნებული სერვისი, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს, შექმნან თავიანთი პროფილი და ინფორმაცია საკუთარი საახლობლო წრის, კავშირების, სოციალური მისწრაფებებისა და დამოკიდებულებების შესახებ, გახადონ სხვებისთვის ხელმისაწვდომი. სოციალური მედიის ისეთი საიტები, მაგალითად, როგორიცაა ფეისბუკი, შექმნის დღიდან იმ მილიონობით ადამიანის ყოველდღიურობის ნაწილად იქცა, რომელიც ამ საიტებს მოიხმარენ. სოციალური ქსელები საშუალებას აძლევს ადამიანებს, დაუკავშირდნენ სხვა უცხო პირებს, ღიად გამოხატონ თავიანთი აზრი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამასთან ადამიანებს, რომლებიც სხვის მიერ შექმნილ კონტენტთან ერთად თავადაც ქმნიან სხვადასხვა მასალებს და აქტიურად არიან

ჩართულნი განხილვაში, სოციალურ მედიაში ხდებიან აზრის ლიდერები და ცდილობენ სხვებისთვის აზრის შეცვლას (Weeks, Ardèvol-Abreu & Gil de Zúñiga, 2015).

ინტერნეტმა კომუნიკაციის ახალი არხები შექმნა, რამაც დრამატულად შეცვალა ინფორმაციული ნაკადის დინება ტრადიციული მედიისგან განსხვავებით და ეს მოხდა სწორედ სოციალური მედიის საშუალებით (Calderaro, 2017). სოციალური მედია თანამედროვე საზოგადოებაში თამაშობს საკვანძო როლს მულტიმედია პლატფორმების საშუალებით ინფორმაციის გავრცელებაში, საზღვრების მიუხედავად, პოლიტიკის, კულტურისა და სხვა სოციალური სფეროების მიმართულებით. კალდერაროს აზრით, (Calderaro, 2017) დაკვირვება იმაზე, თუ როგორ ვრცელდება ინფორმაცია, იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ სოციალურ მედიას აქვს უდიდესი გავლენა პოლიტიკასა და მის აქტორებზე, სწორედ ამიტომ, სოციალური მედია ხშირად განსაზღვრავს პოლიტიკური კამპანიის ფორმასა და სტრატეგიას.

მსოფლიოს უდიდეს დემოკრატიებში და ასევე მთელი მსოფლიოს გარშემო სოციალური მედია ნაციონალიზმის გააქტიურებას უწყობს ხელს როგორც მთავრობაში, ისე საზოგადოების ყველა ფენაში (St. Louis Post-Dispatch, 2018).

“სოციალურმა მედიამ მოგვცა საშუალება, ელვის სისწრაფით გაზრდილიყო ჩვენი წევრების რაოდენობა. ის ძალიან სასარგებლო საშუალებაა ჩვენთვის. სოციალური მედია არის გასაღები ჩვენი მესიჯის გასავრცელებლად. ჩვენ არ გვაქვს ტელევიზიები, რადიოსადგურები, ჩვენ არ ვართ მეინსტრიმული მოძრაობა. როგორც ნებისმიერი მესამე ძალა, ჩვენ იმედებს სოციალურ მედიაზე ვამყარებთ”, - ამბობს ჰარი ჰაგისი, რომელიც დეტროიტში დაფუძნებული ნაციონალისტურ-სოციალისტური მოძრაობის წარმომადგენელია. აღნიშნული ორგანიზაცია საკუთარ თავს “ამერიკის უმთავრესი თეთრი სამოქალაქო უფლებების ორგანიზაციას” (APWCRO) უწოდებს, თუმცა სხვები მოიხსენიებენ როგორც ნეონაცისტურ, სიძულვილის ჯგუფს (St. Louis Post-Dispatch, 2018).

როგორც ქავთარაძე აღნიშნავს (ქავთარაძე, 2019) ახალი ტექნოლოგიები თავის როლს თამაშობს რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენე ჯგუფების ჩამოყალიბებაში.

დღესდღეობით მედიასთან მათი კავშირის შესწავლისას, ყველაზე ხშირად, მათ აღზევებაში სწორედ ონლაინ მედიისა და სოციალური მედიის როლზეა საუბარი. ქავთარაძის თქმით, ციფრულმა მედიამ ერთი მხრივ, ასეთ ჯგუფებს ორგანიზების უკეთესი, უფრო იაფი და იოლი საშუალებები გაუჩინა. მეორე მხრივ, მათი არსებობის ონლაინ სივრცეში თამამად და ღიად დაფიქსირებით ამ ჯგუფების ნორმალიზაციის პროცესი გაცილებით უფრო დაჩქარდა ფართო საზოგადოებაში. მომრავლდნენ ისეთი მედიასაშუალებებიც, რომლებიც ღიად უჭერენ მხარს მსგავსი ჯგუფების არსებობას ან კომერციული მიზნებიდან გამომდინარე უარს არ ამბობენ ისეთი მასალის განთავსებაზე, რაც გარანტირებულად ბევრ მნახველს მიიზიდავს მათ ვებსაიტებზე. ასევე, არიან მედიასაშუალებებიც, რომლებიც არ აქვეყნებენ იდენტობასთან დაკავშირებულ, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური სიძულვილით გაჯერებულ მასალებს.

პოპულისტური, სიძულვილის ჯგუფების თვითორგანიზება, მათ მიერ სოციალური მედიის გამოყენება საკუთარი მესიჯების გასავრცელებლად და ასევე, მეინსტრიმული მედიის დღის წესრიგზე გავლენა ბოლო წლებში არაერთი კვლევის სამიზნე გახდა.

სწორედ პოპულისტების მიერ სოციალური მედიის გამოყენებაზე წერს მოფიტი (Moffitt, 2018) და ამბობს, რომ ზოგი პოპულისტი აქტორი ნამდვილად ცდილობს გამოიყენოს სოციალური მედია უფრო ეფექტიანად და უფრო პროფესიონალურად, ვიდრე ამას მისი მეინსტრიმული მეტოქე აკეთებს. ასეთი აქტორების ტვიტერის და ფეისბუკ გვერდებს, ხშირად, აქვთ იმაზე მეტი გაზიარება და მოწონება, ვიდრე მათ ოპონენტებს. ამასთანავე, მათი კონტენტი უფრო მეტად გასართობია და ადამიანების უფრო მეტ ჩართულობას იწვევს. ისინი სოციალური მედიის პლატფორმებს იყენებენ ეფექტიანად, პროფესიონალურად და ინოვაციურად, რათა პირდაპირ მიწვდნენ თავიანთ მიზნობრივ აუდიტორიას. მოფიტი ასევე აღნიშნავს (Moffitt, 2018), რომ მაშინ, როცა აკადემიური ლიტერატურა კვალდაკვალ მისდევს სოციალური მედიისა და პოპულიზმის ემპირიულ განვითარებებს, საჭიროა, უბრალოდ კი არ მივიღოთ ეს პოზიციები როგორც “საერთო სიბრძნე”, არამედ მსგავსი განცხადებები შევაფასოთ კრიტიკულად და დავფიქრდეთ

ფრთხილად, თუ რა სახის ენას ვიყენებთ, როდესაც ვსაუბრობთ პოპულიზმსა და სოციალურ მედიაზე.

კვლევები აჩვენებს, რომ ულტრამემარჯვენე სიძულვილის ჯგუფები ცდილობენ გამოიყენონ მრავალგვარი საშუალება თავიანთი მესიჯის გასავრცელებლად. ჩერმაკის, ფრეილიხისა და სატმოლერის (Chermak, Freilich, Suttmoeller, 2013) ჰიპოთეზით, ულტრამემარჯვენე სიძულვილის ის ჯგუფები, რომლებიც აქტიურად ავრცელებენ თავიანთ მესიჯებს და ამგვარად წვდომა აქვთ უფრო დიდ აუდიტორიაზე, უფრო მეტად არიან ძალადობრივი.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ხილვადობა ახალ ამბებში გამომდინარეობს იქიდან, თუ მოქმედების რა ფორმებს ირჩევენ ისინი და საჯაროდ როგორ აყენებენ თავიანთ მოთხოვნებს - ეს დასტურდება გატინარა და ფროიოს (Gattinara & Froio, 2018) კვლევით. მათ მაგალითად მოჰყავთ იტალიისა და საფრანგეთის შემთხვევა, სადაც არამეინსტრიმული ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებს აქვთ უფრო დიდი ალბათობა, გახდნენ მედიის დღის წესრიგის ნაწილი, თუ ისინი აირჩევენ პროტესტის სტატეგიას, ჩაერთვებიან კონფრონტაციაში მაშინ, როცა პოლიტიკური ჩართულობის ტრადიციული ფორმის არჩევის შემთხვევაში ეს შანსი გაცილებით ნაკლებია. გატინარა & ფროიო ასევე მიუთითებენ, რომ რაც უფრო მეტად წარმოშობს კონფლიქტს და იწვევს ოპონენტების ჩართულობას ულტრანაციონალისტების ქმედება, მედია მით უფრო ხშირად აშუქებს მათ და შესაბამისად, ამ ჯგუფებს მეტი შანსი აქვთ მოხვდნენ მედიის დღის წესრიგში.

თავის მხრივ, დღის წესრიგი დეფლერის (DeFleur, 2010) მიხედვით განიმარტება, როგორც საკითხების ჩამონათვალი, ერთობლიობა, რომელიც მნიშვნელოვანია კონკრეტული ჯგუფისთვის. ამ ტერმინის მეორე მნიშვნელობა კი გულისხმობს იმ საკითხების ერთობლიობას, რომელიც განიხილება შეხვედრაზე. ახალი ამბების შემთხვევაში, დღის წესრიგს ეს ორივე განმარტება შეესაბამება.

დეფლერისვე მიხედვით (DeFleur, 2010), დღის წესრიგის შექმნა გულისხმობს თუ რა საკითხებმა უნდა გაიაროს შერჩევის პროცესი წარმატებით და ამ საკითხებიდან, თითოეულს რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს – რა პრიორიტეტით უნდა მიეწოდოს მომხარებელს. მედიის დღის წესრიგის შემუშავება გულისხმობს, აუდიტორიისა და სხვა გარემო-ფაქტორების გათვალისწინებით, არსებული გარემოდან მნიშვნელოვანი თემების შერჩევას, ნაკლებმნიშვნელოვან თემებზე უარის თქმას, შერჩეული, ანუ ნიუსღირებულების მქონე ამბებს შორის პრიორიტეტების განაწილებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რა ადგილზე განთავსდება ესა თუ ის ამბავი – ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები, როგორც წესი, გამოსაჩენ ადგილზე ქვეყნდება, ან საინფორმაციო დასაწყისში ხვდება, ნაკლებმნიშვნელოვანი ამბები – ნაკლებად გამოსაჩენ ადგილას, ან საინფორმაციო გამოშვების ბოლოსკენ.

მაკომბმა და შოუმ ჯერ კიდევ 1972 (McComb and Shaw, 1972) წელს აღნიშნეს მედიის მიერ დღის წესრიგის მნიშვნელობისა და იმის შესახებ, თუ რა დიდ როლს თამაშობენ რედაქტორები, გამომცემლები და მაუწყებლები, კონკრეტული ახალი ამბისთვის შესაბამისი მნიშვნელობის მინიჭებით, როგორ ქმნიან პოლიტიკური რეალობის კონტურებს. მომხმარებლები ინფორმაციას იღებენ არა მხოლოდ მედიის მიერ მიწოდებული ამბის შესახებ, არამედ იგებენ მისი მნიშვნელობის მასშტაბურობას – მიწოდების ფორმა, დრო და ადგილი განსაზღვრავს ამბის მნიშვნელობას. პოლიტიკოსმა კამპანიისას შეიძლება ბევრი რამ გაავრცელოს – დაპირება, თხოვნა, მოწოდება, მაგრამ მედია, თავისი შეხედულებისამებრ, არჩევს ყველაზე მნიშვნელოვანს – სწორედ ეს არის დღის წესრიგის შექმნა. ამ გზით, მასმედია აიძულებს მომხარებელს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცოს კონრკეტულ საკითხებს, ისინი საზოგადოებისთვის ქმნიან პოლიტიკოსთა სახე-ხატს, აწვდიან იმ ინფორმაციას, რაზეც უნდა იფიქრონ, რის მიმართაც უნდა ჰქონდეთ თავიანთი დამოკიდებულება.

როგორც მაქქველი (McQuail, 2010) წერს, დღის წესრიგის ერთი მთავარი დამახასიათებელი ისაა, რომ მასობრივი ინფორმაციის განსხვავებული საშუალებები თითქმის იზიარებენ ერთმანეთის ახალი ამბების პრიორიტეტებს. თუმცა აღნიშნული

მდგომარეობა გამოწვევის წინაშე დადგა მას შემდეგ, რაც უამრავი ახალი ონლაინ ნიუს სააგენტო გაიხსნა, ამასთანავე, ახალი ამბების მაძიებელთათვის გაიზარდა შესაძლებლობა, მოძებნოს ზუსტად ის ახალი ამბავი, რომელიც მის პერსონალურ დღის წესრიგს მოერგება.

2. შემთხვევის აღწერა

იმის გამოსაკვლევად, თუ რა გავლენას ახდენენ ულტრანაციონალისტური ჯგუფები ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგის ფორმირებაზე, შეირჩა 2018 წლის მაისში თბილისის სამ ღამის კლუბში - "ბასიანი", "ხიდი" და "გალერი" - ჩატარებული ანტინარკოტიკული სპეცოპერაცია. აღნიშნულმა მოვლენამ, ერთის მხრივ, გამოიწვია ახალგაზრდების მობილიზება სახელმწიფოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ, კი ის გახდა მორიგი სიძულვილით გაჯერებული ანტიდასავლური ნარატივის მაპროვოცირებელი, რომლის ავტორებიც ქართული ულტრანაციონალისტური ჯგუფები იყვნენ (On.ge, 2018). ყველაფერი დაიწყო 2018 წლის 12 მაისის ღამეს, როდესაც კლუბ ბასიანის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნაჯა ორაშვილმა ფეისბუკზე დაწერა, რომ კლუბში სპეცრაზმი შევიდა და მხარდამჭერებს კლუბთან მისვლისკენ მოუწოდა (ნეტგაზეთი, 2018).

კლუბ ბასიანთან დაუყონებლივ დაიწყო ახალგაზრდების მობილიზება, საპროტროტესტო ტალღას შეუერთდნენ თავად კლუბებში მყოფი ადამიანებიც. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მალევე თქვა, რომ თბილისის ღამის კლუბებში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით დააკავეს 8 ადამიანი.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცავები 3 თვის განმავლობაში იძიებდნენ ღამის კლუბებში ნარკოტიკული საშუალებების გასაღების შესაძლო ფაქტებს (შსს, 2018).

კლუბებში სპეცოპერაციის პარალელურად დაწყებული საპროტესტო აქციის ორგანიზატორი იყო "თეთრი ხმაურის მოძრაობა", რომელიც უკვე წლებია ითხოვს საქართველოში ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზებას და მას ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ნაწილად მიიჩნევს (Human Right Watch, 2018).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კლუბებში სპეცოპერაციას წინ უძღოდა, სავარაუდოდ, ე.წ. კლუბური ნარკოტიკით რამდენიმე ახალგაზრდის გარდაცვალების ფაქტი. "თეთრი ხმაურის მოძრაობამ" ჯერ კიდევ აპრილში თქვა, რომ ე.წ. შავ ბაზარზე იყიდებოდა ისეთი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ადამიანთა გარდაცვალებას იწვევს. ორგანიზაციამ გამოთქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული ხდება მიზანმიმართულად და მათ სისტემა იმეტებს სიკვდილისთვის (ნეტგაზეთი, 2018). ახალგაზრდები 12 მაისს დღისით, თბილისში, პარლამენტის წინ ხელისუფლების პოლიტიკას ცეკვითა და კლუბური მუსიკით აპროტესტებდნენ, რაც საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრშიც მოხვდა (BBC, 2018).

უკვე 13 მაისს "თეთრი ხმაურის მოძრაობის" აქციის საპასუხოდ მობილიზება დაიწყეს ქართულმა ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა, რომლის წარმომადგენელია "ეროვნული ერთობა". ამ ორგანიზაციის წევრები საკუთარ თავს "შავპერანგიანებს" უწოდებდნენ და ძალადობრივი ქმედებებით იმუქრებოდნენ (პირველი არხი, 2018).

2018 წლის 12 მაისს ღამის კლუბებში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ გამართულმა აქციამ და შემდეგ 17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღემ ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებული ნეონაცისტური და ფაშისტური ძალების გაერთიანებას. ისინი "ლგბტქ პროპაგანდის" წინააღმდეგ "ეროვნულობის დაცვის" მოტივით შეიკრიბნენ და მოაწყვეს კონტრაქცია, რაც მთავარი შემაშინებელი ფაქტორი აღმოჩნდა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით გამართული აქციის დასაშლელად (ძველიშვილი, 2018). შინაგან საქმეთა სამინისტრომ თქვა, რომ კონტრაქციაზე

იზრდებოდა დაძაბულობა და არსებობდა დაპირისპირების საფრთხე. შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას მიერ აქციის წევრებისთვის ბოდიშის მოხდისა და



ორგანიზატორებთან ნარკოპილიტიკაზე მსჯელობის გაგრძელების დაპირების შემდეგ აქცია რუსთაველის გამზირზე 14 მაისს დაიშალა (On.ge, 2018). შინაგან საქმეთა სამინისტრომ 12 მაისს სპეცოპერაციისას დალუქულ ღამის კლუბებში საგამოძიებო მოქმედებები 22 მაისისთვის დაასრულა. კლუბი "გალერი" 22 მაისს გაიხსნა, ბასიანში კი პირველი ღონისძიება სპეცოპერაციიდან 15 დღეში, 27 მაისს გაიმართა (პირველი არხი, 2018).

2018 წელს საქართველოში ულტრანაციონალისტური ფეისბუკ გვერდების მომწონებელთა რაოდენობით ათეულობით ათასებს აჭარბებდა (ძველიშვილი, 2018).

დიაგრამა კვლევიდან "პროქართულით შეცვლილი პრორუსული ნარატივი" (ძველიშვილი, 2018)

თუმცა, ფეისბუკმა 2019 წლის დასაწყისში გაავრცელა ინფორმაცია, რომ "რუსეთიდან კოორდინირებული არაავთენტური ქცევისთვის" წაშალა ასეულობით ფეისბუკ გვერდი. წაშლილ გვერდებს შორის მოხვდნენ ისინიც, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ულტრანაციონალისტურ ჯგუფებთან (Facebook, 2019).

2019 წლის მარტში ფეისბუკმა კიდევ წაშალა ქართულ ულტრანაციონალისტურ ჯგუფებთან დაკავშირებული არაერთი გვერდი, რასაც ულტრანაციონალისტებმა ანტილიბერალური გვერდების წმენდის მორიგი ტალღა უწოდეს (მითების დეტექტორი, 2019).

2019 წლის ივნისის მონაცემებით, ქართული ულტრანაციონალისტური გვერდები, რომლებიც ჯერ კიდევ 2018 წლიდან მუშაობდნენ, არ იძებნება. მათ დარეგისტრირებული აქვთ ახალი გვერდები, სადაც ძველი აქტივობები შენახული არ არის. შესაბამისად, შეუძლებელია იმის ანალიზი, თუ რა ტიპის ინფორმაციას ავრცელებდნენ სოციალურ ქსელში 2018 წლის აპრილ-ივნისში.

3. კვლევის დიზაინი

3.1. საკვლევი კითხვები

RQ1: ახდენენ თუ არა გავლენას ულტრანაციონალისტური ჯგუფები ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგზე?

RQ2: რა ტიპის გავლენას ახდენენ ულტრანაციონალისტური ჯგუფები ონლაინ მედიის დღის წესრიგზე?

RQ3: ახდენენ თუ არა ონლაინ მედიასაშუალებები ულტრანაციონალისტური ჯგუფების ძალადობრივი გზავნილების ტირაჟირებას?

3.2. კვლევის ჰიპოთეზა

H1: ულტრანაციონალისტური ჯგუფები გავლენას ახდენენ ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგზე;

H2: ონლაინ მედია ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს აშუქებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მართავენ ძალადობრივ საპროტესტო აქციებს და ავრცელებენ ძალადობრივ განცხადებებს.

3.3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენს ნეონაცისტური ჯგუფების ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგის გავლენის ანალიზი. აქედან გამომდინარე, კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება დღის წესრიგის თეორიას ხოლო მეთოდად შეირჩა თვისებრივი კვლევა, რომლიც მოიცავს სიღრმისეული ინტერვიუს, კონტენტ ანალიზს, რაოდენობრივი მონაცემის ანალიზს, შემთხვევათა ანალიზს. კვლევა ჩატარდა 2019 წლის აპრილი-ივლისის მონაკვეთში.

3.4. შერჩევა

კვლევისთვის შეირჩა ხუთი ონლაინ მედიასაშუალება - interpressnews.ge, on.ge, tabula.ge, marshalpress.ge და reportiori.ge

აღნიშნული მედიასაშუალების შერჩევის კრიტერიუმად გამოყენებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის კვლევა „საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი“, სადაც შერჩეული იყო ყველაზე რეიტინგული 11 მედიასაშუალება. აღნიშნული კვლევის შერჩევის პერიოდი ემთხვევა სწორედ ონლაინ მედიის დღის წესრიგზე ულტრანაციონალისტური ჯგუფების გავლენის საკვლევ პერიოდს - 2018 წლის ივნისი-ნოემბერი. აღნიშნული 11 მედიასაშუალებიდან კვლევისთვის შეირჩა 5 ყველაზე რეიტინგული მედიასაშუალება, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს აშუქებენ ყოველდღიურად. სუბიექტივიზმის თავიდან ასაცილებლად კვლევიდან გამოირიცხა რეიტინგულ ხუთეულში შემავალი ონლაინ გამოცემა netgazeti.ge, რომლის ახალი ამბების რედაქტორის 2018 წლის 31 იანვრიდან არის კვლევის ავტორი თამაზ კუპრეიშვილი.

საკვლევ პერიოდად აღებულია 2018 წლის 24 აპრილიდან 2018 წლის 5 ივნისამდე პერიოდი. კვლევა იწყება კლუბ “ბასიანსა” და “გალერიში” ჩატარებული სპეცოპერაციამდე 2 კვირით ადრე და ორივე კლუბის ხელახალი გახსნიდან 2 კვირის შემდეგ. საკვლევი პერიოდის ამგვარი შერჩევა იძლევა საშუალებას, დავაკვირდეთ

ულტრანაციონალისტური ჯგუფები მედიაში რა ინტენსივობით და რა თემებთან დაკავშირებით ჩნდებოდნენ "ბასიანის" ირგვლივ განვითარებულ მოვლენებამდე და მის შემდეგ.

ულტრნაციონალისტურ ჯგუფებს ქართული ონლაინ მედია სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებს, მათ შორის, იყენებს ტერმინებს ნეონაცისტები, ნეოფაშისტები, ულტრამემარჯვენეები და ა.შ. თავად საკუთარ თავს რიგ შემთხვევაში "კონსერვატორებს" უწოდებენ, რიგ შემთხვევებში კი "ნაციონალისტებს". კვლევისთვის მათ აღსანიშნად "ულტრანაციონალისტები" შეირჩა თავად ამ სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რადგან ამ სიტყვის განმარტება ყველაზე ახლოს დგას საქართველოში მოქმედ ანტილიბერალურ ჯგუფებთან.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონის მიხედვით (კოდუა, ბერაია. 2004), ტერმინი "ნაციონალიზმი" პირველი მნიშვნელობით ემყარება ნაციის, ერის ცნებას და გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ შორის უმთავრესია ეროვნული თვითგამორკვევის იდეა. მეორე მნიშვნელობით "ნაციონალიზმი" არის გრძნობა, რომლის მიხედვითაც ერი და ერი-სახელმწიფო არის უმაღლესი ღირებულება და მათდამი ლოიალობა დომინანტურია ყველა სხვა ლოიალობასთან შედარებით.

რაც შეეხება "ულტრანაციონალიზმს", "მერიემ ვებსტერის" ლექსიკონი ამ ტერმინს განმარტავს როგორც რადიკალურ ნაციონალიზმს. როგორც სტაალი (Staal, 2014) აღნიშნავს, ულტრანაციონალისტები იყენებენ ფუნდამენტურ დემოკრატიულ საშუალებებს მკვეთრად ანტიდემოკრატიული რიტორიკის გასავრცელებლად, რაც გაჯერებულია რასიზმით, დისკრიმინაციით, ანტისემიტიზმით და ა.შ.

4. კვლევის შედეგები და ანალიზი

კვლევისთვის შერჩეული მედიასაშუალებების კონტენტ ანალიზი ცხადყოფს, რომ დაკვირვების პერიოდში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება ონლაინ მედიაში. კერძოდ, მათი გაშუქების მაჩვენებელი ყველა მედიასაშუალებაში მკვეთრად იზრდება და პიკს აღწევს 13 მაისს. ეს სწორედ ის დღეა, როდესაც ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეების წინააღმდეგ კონტრაქცია გამართეს.

მნიშვნელოვანია ის ტენდენციაც, რომ გაშუქების ინტენსივობა შენარჩუნებულია 18 მაისამდე, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული ჯგუფები საპროტესტო აქციებს მართავდნენ და განცხადებებსაც ავრცელებდნენ 17 მაისთან - ჰომოფობიის წინააღდმეგ

ბრძოლის საერთაშორისო დღესთან - დაკავშირებით. დაკვირვება ცხადყოფს, რომ ულტრანაციონალისტების გაშუქების ინტენსივობა 18 მაისის შემდეგ მკვეთრად იკლებს და მხოლოდ ერთეული შემთხვევები ფიქსირდება, ისიც - არა ყველა ონლაინ მედიასაშუალებაში.

კვლევის პერიოდში ულტრანაციონალისტების შესახებ ყველაზე მეტი - 59 მასალა მოამზადა interpressnews.ge-მ, marshalpress.ge - 35, reportiori.ge - 27, On.ge - 25, tabula.ge - 22.

დიაგრამა 1





დიაგრამა 2

4.1. ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება 12 მაისის სპეცოპერაციამდე პერიოდში

2018 წლის 12 მაისის სპეცოპერაციამდე პერიოდში (28 აპრილი-12 მაისი) ულტრანაციონალისტური ჯგუფები ქართულ ონლაინ მედიაში ძირითადად შემდეგ თემებთან დაკავშირებით ხვდებოდნენ:

- ღამის კლუბებში მომხდარი სავარაუდო ნარკოდანაშაულებები;
- ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა 17 მაისს და ტელეკომპანია რუსთავი 2–თან გამართული აქცია

4.1.1. ღამის კლუბებში მომხდარი სავარაუდო ნარკოდანაშაულობები

თბილისის ღამის კლუბებში მასშტაბური ანტინარკოტიკული სპეცოპერაცია 2018 წლის 12 მაისს, შუაღამისას, დაახლოებთ 01:00 საათზე დაიწყო. სპეცოპერაციამდე ორკვირიან

პერიოდში გაკეთებული დაკვირვება ცხადყოფს, რომ ულტრანაციონალისტური ჯგუფები შერჩეულ მედიასაშუალებებში “ბასიანსა” და “გალერიში” ჩატარებულ სპეცოპერაციამდეც ჩნდებოდნენ სხვადასხვა მიზეზით.

ძირითადად ორ მედიასაშუალებაში - marshalpress.ge-სა და reportiori.ge-ში - სპეცოპერაციამდელ ორკვირიან პერიოდში შეიმჩნეოდა ერთგვარი საინფორმაციო სივრცის მომზადება იმასთან დაკავშირებით, თითქოს ღამის კლუბები არის ნარკოდანაშაულის მთავარი კერა, რომელსაც იყენებენ “ახალგაზრდა თაობის გასარყვნელად და გადასაგვარებლად” (reportiori.ge, 2018). მართალია, ამ მესიჯების პირველწყაროები უშუალოდ ულტრანაციონალისტური ჯგუფები, ან მათთან პირდაპირ დაკავშირებული პირები არ იყვნენ, თუმცა უკვე 13 მაისიდან სწორედ მსგავსი მიდგომა იყო ულტრანაციონალისტების გააქტიურების მთავარი საბაბი. კვლევამ კი აჩვენა, რომ ამ ორი გამოცემის მიერ მომზადებული მასალები თანხვედრაში იყო სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ გავრცელებულ ნარატივთან.

საკვლევ პერიოდში ღამის კლუბ “ბასიანსა” და “გალერიში” სავარაუდო ნარკოდანაშაულზე ინფორმაცია შერჩეული მედიასაშუალებებიდან პირველად 2018 წლის 30 აპირლს reportiori.ge-სა და marshalpress.ge-ს ვებსაიტებზე ჩნდება (marshalpress.ge, 2018; reportiori.ge, 2018).

მარშალპრესი წერდა, რომ ღამის კლუბ “ბასიანის” ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ზვიად გელბახიანმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ორი ახალგაზრდა სასწრაფო დახმარების საშუალებით “ბასიანის” ტერიტორიიდან გადაიყვანეს. თუმცა მანვე დაადასტურა, რომ სავარაუდოდ ზედოზირების გამო 30 აპრილს სამედიცინო დახმარება დასჭირდა ერთ პირს და თავიდან აიცილეს ფატალური შედეგი (marshalpress.ge, 2018).

მნიშვნელოვანია ის ტენდენციაც, რომ 30 აპრილს გამოქვეყნებული ინფორმაცია არის, ძირითადად, ამა თუ იმ პირის მიერ სხვა პლატფორმაზე ან/და სხვა მედიასაშუალებით გავრცელებული ინფორმაციის მიწოდება მკითხველისთვის. ეს არ არის ექსკლუზიური, თავად მედიასაშუალებების მიერ მოძიებული და ნაკვლევი ინფორმაცია. მედიასაშუალებები ამ შემთხვევაში არიან ინფორმაციის თითქმის უცვლელად გამტარები. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ marshalpress.ge და reportiori.ge მკითხველს სთავაზობდნენ ღამის კლუბების მადისკრედიტირებელ მოსაზრებებს. ამ მოსაზრების ავტორები არიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოების ფართო ფენებისთვის უცნობია და არც მკითხველს სთავაზობენ დამატებით ინფორმაციას - თუ ვინ არის ეს რესპონდენტი და ღამის კლუბებთან დაკავშირებით რატომ შეიძლება იყოს მისი მოსაზრება საინტერესო. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო გია გაბრიჭიძის მოსაზრება (marshalpress.ge, 2018), რომელიც წარდგენილი იყო როგორც ჟურნალისტი, თუმცა მკითხველისთვის უცნობი დარჩა, რომელ მედიას წარმოადგენდა ის და რატომ იყო მისი აზრი მნიშვნელოვანი.

reportiori.ge ინფორმაციას ღამის კლუბებში შესაძლო დანაშაულებრივ სქემაზე, ინფორმაციას ავრცელებდა წყაროს დაზუსტების გარეშე, იყენებდა ფრაზებს "გავრცელებული ინფორმაციით", თუმცა არ ყოფილა დაკონკრეტებული, სად, ვინ, როდის გაავრცელა და რამდენად სანდო შეიძლება იყოს მსგავსი ინფორმაცია.

reportiori.ge მკითხველს რუბრიკა Facebook News-ის ფარგლებში რეგულარულად სთავაზობს სხვადასხვა ადამიანის მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. ეს მოსაზრებები ძირითადად მიმართულია ლიბერალური ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ და კრიტიკის ობიექტად შერჩეულები არიან როგორც აქტივისტები, ისე თბილისში მოქმედი ძირითადი ღამის კლუბები.

საკვლევ პერიოდში რუბრიკაში Facebook News ონლაინ მედიასაშუალება reportiori.ge მხოლოდ ფეისბუკზე გამოქვეყნებული პოსტების ტირაჟირებას ახდენდა ასევე დამატებითი ინფორმაციის გარეშე, ხანდახან ისე, რომ მითითებულიც არ არის პოსტის

ავტორის რეგალია. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ნიუსია "რომან კუსიანი კლუბ „ბასიანთან" დაკავშირებით სოციალურ ქსელში შემდეგი სახის პოსტს აქვეყნებს: „ბასიანი" არის ნარკობარიგების ბუდე! - ახლა მიდით, დამიჭირეთ და მიჩივლეთ სასამართლოში!" - წერს რომან კუსიანი. თუმცა არ არის აღნიშნული, ვინ არის რომან კუსიანი და მკითხველისთვის გაუგებარია, თუ რატომ შეიძლება იყოს მისი მოსაზრება მნიშვნელოვანი (reportiori.ge, 2018).

კლუბებში 12 მაისს ჩატარებულ სპეცოპერაციამდე ნარკოპოლიტიკა და ნარკოდანაშაული სხვა მედიასაშუალების ფოკუსშიც მოხვდა, თუმცა არა ღამის კლუბების დისკრედიტაციისა და შემდგომ ულტრანაციონალისტური ჯგუფების განწყობების გამართლების კონტექსტში. აღნიშნული ჟურნალისტური მასალები, ძირითადად, გამოხმაურება იყო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ნარკორეალიზაციის ბრალდებით დაკავებულ პირებზე (interpressnews.ge, 2018), ასევე, სავარაუდოდ, ე.წ. კლუბური ნარკოტიკით რამდენიმე ახალგაზრდის გარდაცვალების შემთხვევაზე (On.ge, 2018).

ონლაინ მედიასაშუალებები დაკვირვების პერიოდში უმეტესად მიყვებოდნენ სხვადასხვა აქტორის დღის წესრიგს და არ ქმნიდნენ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ექსკლუზიურ მასალებს. interpressnews.ge, On.ge და tabula.ge ხშირ შემთხვევაში ეხმაურებოდნენ სხვადასხვა კრიმინალურ ამბავს - იქნებოდა ეს ნარკოდანაშაულის ბრალდებით ვინმეს დაკავება, თუ სავარაუდოდ ე.წ. კლუბური ნარკოტიკით ვინმეს გარდაცვალება.

4.1.2. ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება 17 მაისისა და რუსთავი 2-თან გამართული აქციის კონტექსტში

ღამის კლუბებისა და ნარკოდანაშაულობების გარდა ულტრანაციონალისტური ჯგუფები 12 მაისის სპეცოპერამდე მოხვდნენ კიდევ ორ თემასთან დაკავშირებით - "ქართული მარშის" წევრთა სასამართლო პროცესები და ჰომოფობისასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღის, 17 მაისის საწინააღმდეგო ძალადობრივი აქციები.

რამდენიმე ულტრანაციონალისტი იმ დროს დააკავეს, როდესაც ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ოფისთან გააპროტესტეს ამავე ტელეარხის წამყვანის, გიორგი გაბუნიას რელიგიური შინაარსის განცხადება, რა დროსაც ისინი ფიზიკურად დაუპირისპირდნენ მას და არხის რამდენიმე თანამშრომელს. სასამართლო პროცესების გარდა, აღნიშნულს მოჰყვა დაკავებულთა ახლობლების საპროტესტო აქცია და შიმშილობის გამოცხადებაც (interpressnews.ge, 2018).

ქვეყნის ერთ-ერთ რეიტინგულ ტელეარხთან საპორტესტო აქციის გამართვა, ამავე ტელეარხის ჟურნალისტებთან სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების პროვოცირება და მოგვიანებით შიმშილობის გამოცხადება გათვლილი შეიძლება ყოფილიყო რაც შეიძლება დიდი ყურადღების მიპყრობისა და მედიის დღის წესრიგში მოხვედრისკენ, რაც, შეიძლება ითქვას, ულტრანაციონალისტური ჯგუფების მხრიდან სტრატეგიული ნაბიჯი იყო. ამას მოწმობს თუნდაც ონლაინ მედიაში მათი გაშუქების სიხშირის ზრდა აღნიშნული მოვლენების კონტექსტში.

ტელეკომპანია "რუსთავი 2-თან" დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები, ძალადობრივი აქცია და მისი თანმდევი შედეგების გარდა, ულტრანაციონალისტები მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდნენ 17 მაისთან - ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან - დაკავშირებით. აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ მედიის ყურადღების მიქცევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა ულტრანაციონალისტური ჯგუფებისთვის სწორედ ამგვარი აქტივობებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ან საერთოდ არ ჩანან მედიაში, ან მათ მინიმალურ ყურადღებას უთმობენ. მაგალითად,

თითქმის ყველა მედიასაშუალების ფოკუსში მოხვდნენ ულტრანაციონალისტები 2019 წლის პირველ მაისს, როდესაც კონტრაქცია გამართეს ლგბტქ აქტივისტების წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტთან.

ამ დღეს ლგბტქ აქტივისტები პარლამენტარ სოფიო კილაძის განცხადებას აპროტესტებდნენ, რომლის თქმითაც, ხელისუფლება 17 მაისს არ აპირებდა ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნას. ქართველმა ულტრანაციონალისტებმა აქტივისტებს დაუშინეს კვერცხები, რა დროსაც სამი პირი დააკავეს (marshalpress.ge, 2018).

4.2. ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება სპეცოპერაციის დაწყებიდან ღამის კლუბების გახსნამდე (12-23 მაისი)

ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქების მაჩვენებლის მკვეთრი მატება შერჩეულ მედიასაშუალებებში 13 მაისს დაიწყო, რასაც წინ უძღოდა ანტინარკოტიკული სპეცოპერაცია ღამის კლუბებში.

სამართალდამცავები კლუბებში 12 მაისს, შუაღამისას შევიდნენ მაშინ, როდესაც ღონისძიებები იმართებოდა და დაიწყეს იქ შეკრებილთა გამოყვანა და საგამოძიებო მოქმედებების გატარება. ამის შემდეგ დაიწყო დაძაბულობა და მოქალაქეების დაკავება, რასაც მეორე მესამე დღეს მოჰყვა მოქალაქეთა საპროტესტო აქცია.

“თეთრი ხმაურის მოძრაობის” აქციის პარალელურად ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა 13 მაისს დაგეგმეს კონტრაქცია. ისინი დედაქალაქის სხვადასხვა ნაწილში შეიკრიბნენ და დაიძრნენ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე ძირითადი აქციისკენ (interpressnews.ge, 2018).

სწორედ 13 მაისიდან იწყება ონლაინ მედიაში ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქების მკვეთრი ზრდა, რაც ასახულია #1 დიაგრამაზეც.

12-23 მაისის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ ულტრანაციონალისტური ჯგუფები, კლუბებში სპეცოპერაციის ჩატარებიდან და დალუქვიდან მათ გახსნამდე, ონლაინ მედიაში მხოლოდ ორი მიზეზით ხვდებოდნენ:

1. ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეთა წინააღმდეგ გამართული კონტრაქცია, საპროტესტო მსვლელობა, ძალადობრივი მოწოდებები და დაპირისპირება როგორც აქციის მონაწილეებთან, ისე პოლიციასთან, რასაც შესაბამისად მოსდევდა მათი დაკავება
2. მეორე მიზეზი იყო ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული აქციები და განცხადებები.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ 12 მაისს, როდესაც ულტრანაციონალისტური ჯგუფები არ იყვნენ გააქტიურებული და არც აქცია ჰქონდათ გამართული, marshalpress.ge და reportiori.ge მკითხველს აწვდიდნენ მათი წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პირის მოსაზრებებს, რომლებიც უმეტესად სიძულვილის ენით იყო გაჯერებული. მაგალითად, marshalpress.ge-მ ნიუსის სახით გამოაქვეყნა "ქართული მარშის" ერთ-ერთი ლიდერის, სანდრო ბრეგაძის ფეისბუკ სტატუსი, სადაც ის აგინებდა საქართველოს სახალხო დამცველს (marshalpress.ge, 2018).

დაკვირვება აჩვენებს, რომ reportiori.ge და marshalpress.ge მსგავსი სიძულვილის ენით გაჯერებულ მოსაზრებებს, როგორც წესი, აქვეყნებდნენ რუბრიკაში "ფეისბუკი" და "ფეისბუკ ნიუსი". არ ჩანს, რომ თავად მედიასაშუალებები ცდილობდნენ მკითხველს მიაწოდონ ალტერნატიული, მრავალფეროვანი აზრები, რომელიც არ იქნება თანხვედრაში ულტრანაციონალისტური ჯგუფების გზავნილებთან. კერძოდ, გამოქვეყნებული მოსაზრებების აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩანს კრიტიკული დამოკიდებულება როგორც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეთა მიმართ, ისე - ლგბტქ პირებისა და აქტივისტების მიმართ.

მაგალითად, reportiori.ge-ს გამოქვეყნებული აქვს ჟურნალისტ გიორგი გიგაურის ჰომოფობიური მოსაზრება სპეცოპერაციისას ღამის კლუბიდან გამოსული ერთ-ერთი ახალგაზრდის მიმართ, რომელიც პოლიციას დაუპირისპირდა (reportiori.ge, 2018).

გარდა ამისა, reportiori.ge-ის გავრცელებულ მასალებში ჩანს პირდაპირი ან ირიბი მხარდაჭერა ხელისუფლების მიმართ ღამის კლუბებში ჩატარებულ ანტინარკოტიკულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული კი გამოიხატება ისეთი მოსაზრებების ტირაჟირებით, სადაც წერია, რომ "საჭირო იყო სპეცოპერაცია და ბარიგების დაჭერა".

გარდა ამისა, reportiori.ge აქვეყნებდა ისეთ მოსაზრებებს, სადაც დისკრედიტირებული იყო სპეცოპერაციის წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო აქცია. მაგალითად, აღნიშნულ მედიასაშუალებას გამოქვეყნებული აქვს "ქართული მარშის" ერთ-ერთი ლიდერის, სანდრო ბრეგაძის მოსაზრება, სადაც "თეთრი ხმაურის მოძრაობის" აქცია "დეგრადაციად, გარყვნად, გადაშენებად და კატასტროფად" არის შეფასებული (reportiori.ge, 2018).

სხვადასხვა პირის მსგავსი შინაარსის მოსაზრებები reportiori.ge-მ და marshalpress.ge-მ მკითხველს არაერთხელ შესთავაზა, რომელთა ძირითად გზავნილებში ჩანს აპელირება ერის განვითარებაზე, ტრადიციების ღალატზე, სამშობლოსა და სხვადასხვა ღირებულების გაუფასურებაზე, ასევე, საქართველოს საგარეო კურსზეც კი.

ძირითადი გზავნილები, რასაც reportiori.ge ავრცელებდა ღამის კლუბებში ჩატარებულ სპეცოპერაციებზე:

- "ერის უკიდურესი დეგრადაცია!"
- "საჭირო იყო სპეცოპერაცია! ნუ „აპრავებთ" ბარიგებს!"
- რამ შეგაძულათ ასე საკუთარი სამშობლო, ისტორია?! - ვინ ხართ?! სად გაიზარდეთ?!
- ევროპისკენ მიმავალი გზა არ გადის კლუბებზე და არც მარაზმატიკების ტვინებზე! (reportiori.ge, 2018)

მსგავსი სახის მოსაზრებების გავრცელების ტენდენცია დაკვირვების პერიოდში არ შეიმჩნეოდა On.ge-ზე, tabula.ge-სა და interpressnews.ge ზე, რაც შეეხება marshalpress.ge-ს, ამ პერიოდში ისიც ნაკლებად აქვეყნებდა ფეისბუკზე გავრცელებულ სიძულვილის შემცველ მოსაზრებებს და ძირითად, კონცენტრირებული იყო უშუალოდ დედაქალაქში მიმდინარე აქციების გაშუქებაზე, ასევე, ამ აქციებზე გაკეთებული განცხადებების მკითხველისთვის მიწოდებაზე.

tabula.ge-მ, interpressnews.ge-მ და On.ge-მ ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების გაშუქება აქტიურად დაიწყეს 13 მაისიდან, როცა უკვე ულტრანაციონალისტური ჯგუფებიც გააქტიურდნენ. მათი გააქტიურება პირდაპირ აისახა ყველა მედიასაშუალების დღის წესრიგზე გამონაკლისის გარეშე.

მედიასაშუალებები მკითხველს აწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას ულტრანაციონალისტური ჯგუფების ყველა აქტივობის, მათ შორის, დაგეგმილი ღონისძიებების, ძალადობრივი ქმედებებისა და სკანდალური განცხადებების შესახებ.

13 მაისს დღის ბოლოსკენ რუსთაველის გამზირზე სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა და ნებისმიერი აქტივობა, რასაც ულტრანაციონალიტური ჯგუფები ჩადიოდნენ, მყისიერად აისახებოდა ონლაინ მედიაში. მაგალითად, On.ge წერდა, რომ "ჩვენი მშვიდობისთვის" აქციის წევრები საქართველოს ჰიმნს მღერიან, კონტრაქციაზე კი - ლოცულობენ (On.ge, 2018). tabula.ge აღნიშნავდა, რომ ქაშუეთთან მიმდინარე კონტრაქციის მონაწილეები 9 აპრილის ბაღში არიან შეკრებილები (tabula.ge, 2018). ინტერპრესნიუსი მკითხველს ატყობინებდა, რომ „ქართული მარშის" მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეებმა პოლიციის მიმართულებით პლასტმასის ბოთლები ისროლეს (interpressnews.ge, 2018). იგივე მედიასაშუალება აღნიშნავდა, რომ კონტრაქციის მონაწილეები ცდილობდნენ "თეთრი ხმაურის მოძრაობის" აქციაზე შეჭრას.

ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებს დეტალურად და აქტიურად აშუქებდნენ კვლევის ობიექტი სხვა მედიასაშუალებებიც.

უშუალოდ კონტრაქციისა და სხვადასხვა ძალადობრივი ქმედების გარდა, ონლაინ მედიასაშუალებებმა ყურადღება დაუთმეს ულტრანაციონალისტური ჯგუფების მუქარის შემცველ განცხადებებსაც იმის შესახებ, რომ ისინი აპირებდნენ "სამოქალაქო გვარდიის" შექმნას.

ონლაინ მედიასაშუალებებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ისინი კლუბებში ჩატარებული სპეცოპერაციიდან კლუბების გახსნამდე პერიოდში (12-22 მაისი) ყველა მოვლენას აშუქებდნენ დეტალურად - მისდევდნენ იმ დღის წესრიგს, რომელსაც ქმნიდნენ სხვადასხვა აქტორები, მათ შორის, ულტრანაციონალისტური ჯგუფები. ამ პერიოდში აღნიშნული მედიასაშუალებები მომხმარებლებს აწვდიდნენ თითქმის იდენტურ ინფორმაციას - რა ხდებოდა "თეთრი ხმაურის მოძრაობის" აქციაზე, რა ხდებოდა კონტრაქციაზე, რას ამბობდნენ აქციის მონაწილეები, რა ტიპის მუქარებს ავრცელებდნენ და საბოლოოდ როგორ დაიშალა ეს ყველა აქცია.

დაკვირვების პერიოდში მედიასაშუალებების მხრიდან თითქმის არ ყოფილა მომხდარის, ან მიმდინარე მოვლენების ანალიზის მცდელობა, მკითხველისთვის არ შეუთავაზებიათ კვალიფიციური შეფასება იმის შესახებ თუ რა მოხდა, რამ გამოიწვია მოვლენების გართულება და ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურება?

გამონაკლისის სახით შეიძლება აღინიშნოს tabula.ge-ს მიერ 18 მაისს გამოქვეყნებული სტატია სათაურით "რუსული ფული ქართული ნეოფაშიზმის უკან". ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ მომზადებული კვლევის მიმოხილვა, სადაც აღნიშნულია, რომ აღნიშნული ულტრანაციონალისტური ჯგუფები მკვეთრად პრორუსულია და ისინი ძალადობრივი მოწოდებებით გამოირჩევიან (tabula.ge, 2018).

ამავე პერიოდში interpressnews.ge-მ მკითხველს შესთავაზა ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან, რომელიც ცდილობს მკითხველს შესთავაზოს 2018 წლის 12-13

მაისის მოვლენების შესახებ გარკვეული ანალიზი (interpressnews.ge, 2018). სხვა ტიპის ანალიტიკური სტატიები ახალი ამბების ონლაინ ვებსაიტებზე თითქმის არ გამოქვეყნებულა და ისინი მკითხველს მომხდარის შესახებ, ძირითადად, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებებს სთავაზობდნენ.

ისევე, როგორც 12 მაისამდე პერიოდში, 12-23 მაისის მონაკვეთშიც, ონლაინ მედიასაშუალებების ყურადღების ეპიცენტრში ულტრანაციონალისტური ჯგუფები მოხვდნენ ჰომოფობიასთან ბრძოლის დღესთან დაკავშირებითაც. აღნიშნულმა ჯგუფებმა თავიანთი აქციებით, რომელიც ძალადობრივ ელემენტებს შეიცავდა და ასევე, მუქარისშემცველი განცხადებებით შეძლეს, მოხვედრილიყვნენ სხვადასხვა მედიის დღის წესრიგში. კონკრეტულად, 17 მაისს პარლამენტთან უნდა გამართულიყო ანტიჰომოფობიური აქცია, რომელსაც ლგბტ აქტივისტები მართავდნენ, თუმცა ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა ტერიტორია უფრო ადრე დაიკავეს და თქვეს, რომ მათ აქციის გამართვის საშუალებას არ მისცემდნენ (interpressnews.ge, 2018).

გარდა ამისა, 17 მაისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამბად იქცა ლგბტ აქტივისტების აქციაზე სიტყვით გამომსვლელზე თავდასხმის ფაქტიც. თავდამსხმელი აღმოჩნდა არასრულწლოვანი, რომელსაც მოგვიანებით სოლიდარობა გამოუცხადეს ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა (marshalpress.ge, 2018). საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა მოახერხეს თავიანთი ძალადობრივიაქტივობებითა და განცხადებებით აქტიურად მიექციათ მედიის ყურადღება მათკენ და ყოფილიყვნენ ახალი ამბების ეპიცენტრში და თავად განესაზღვრათ მედიის დღის წესრიგი

4.3 ულტრანაციონალისტების გაშუქება ბასიანის გახსნის შემდეგ (23 მაისი - 6 ივნისი)

23 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დალუქული ღამის კლუბები გახსნა და მეპატრონეებს გადასცა (On.ge, 2018). დროის ამ მონაკვეთში მკვეთრად იკლო ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებამ ონლაინ მედიაში.

“ბასიანის” გახსნის შემდეგ პერიოდში, 27 მაისს გაიმართა აქცია სახელწოდებით “ნუ მომკლავ!” რომლის ორგანიზატორიც იყო 2017 წლის დეკემბერში მოკლული დავით სარალიძის მამა ზაზა სარალიძე. აღნიშნულ აქციაზე იმყოფებოდა “ქართული მარშიც” (interpressnews.ge, 2018). ამ აქციაზე დააკავეს “ქართული მარშის” 9 წევრი, რომლებიც აქციის სხვა მონაწილეებს დაუპირისპირდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ოპოზიციურ პარტია “ნაციონალურ მოძრაობას” დესტაბილიზაციის საშუალებას არ მისცემდენენ (interpressnews.ge, 2018). ეს ინფორმაცია გაავრცელა ყველა საკვლევმა ონლაინ მედიასაშუალებებმაც.

მოვლენები, რის გამოც ულტრანაციონალისტები ხვდებოდნენ მედიაში			
თემა / მედიასაშუალება	საპროტესტო აქცია/ძალადობრივი ქმედება	სკანდალური/მუქარის შემცველი განცხადებები	სხვა
On.ge	16	6	3
Ipn.ge	49	7	3
Tabula.ge	17	3	2
Reportiori.ge	20	11	4
Marshalpress.ge	18	9	0

ცხრილი 1

4.4. ონლაინ მედიის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია

როგორც შერჩეული ონლაინ მედიასაშუალებების მონიტორინგისას გამოჩნდა, მათგან მხოლოდ ორი - tabula.ge და On.ge აფიქსირებს მკვეთრ უარყოფით სარედაქციო პოზიციას ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიმართ. ინტერპრესნიუსის, მარშალპრესის და რეპორტიორის გაშუქებისას კი არ ჩანს ჩამოყალიბებული სარედაქციო პოზიცია მათი გაშუქებისას, არ იყენებენ შეფასებით სიტყვებს და შემოიფარგლებიან ნეიტრალური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

4.4.1. ტაბულა

ტერმინები, თუ როგორ მოიხსენიებს ტაბულა ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს:

- პრორუსული ქსენოფობიური კავშირი ე.წ. "ქართული მარში"
- ქსენოფობიური და ფაშისტური ჯგუფი "იბერიული ერთობა"
- ქსენოფობიური ჯგუფი
- ქსენოფობიური ულტრანაციონალისტური ჯგუფები
- ულტრანაციონალისტურად განწყობილი ჯგუფი
- ნეონაცისტური ჯგუფები
- ჰომოფობთა და ტრანსფობთა ჯგუფი
- ქართველი ნეოფაშისტები

როგორც ანალიზი ცხადყოფს, ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებისას tabula.ge-ს ტერმინოლოგია ერთგვაროვანი არ არის და განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა მოვლენას რა კონტექსტში აშუქებს ის. თუმცა, გამოქვეყნებული მასალების აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩანს რედაქციის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ულტრანაციონალისტური ჯგუფებისა და მათი საქმიანობის მიმართ.

როდესაც tabula.ge ულტრანაციონალისტებს სხვადასხვა ტერმინით ახასიათებს, ზოგიერთ სტატიაში მკითხველისთვის ინფორმაცია არ არის მიწოდებული, თუ რატომ შეიძლება იყოს ეს კონკრეტული ჯგუფი “პრორუსული”, “ნეონაცისტური” თუ “ფაშისტური”.

4.4.2. On.ge

ონლაინ მედიასაშუალება On.ge, მსგავსად tabula.ge–სა, მუდმივად იყენებს შეფასებით სიტყვებს სხვადასხვა ულტრანაციონალისტური ჯგუფის დახასიათებისას.

ტერმინები, რომელსაც On.ge იყენებს:

- ულტრანაციონალისტები
- ჰომოფობიური ძალადობრივი ჯგუფები
- ნეონაცისტები/ნეონაცისტური დაჯგუფებები
- კონტრაქციის მონაწილეები
- ფაშისტური დაჯგუფებები

რიგ შემთხვევებში On.ge-ს განმარტებული აქვს, რომ "ქართული მარში" "არის ადამიანების გაერთიანება, რომელიც აგრესიით გამოირჩევა უმცირესობების მიმართ" (On.ge, 2018), თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც On.ge ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს მოიხსენიებს როგორც "კონტრაქციის მონაწილეებს".

სტატიების ნაწილში, tabula.ge-ს მსგავსად, არც On.ge განმარტავს მკითხველისთვის, თუ რატომ აფასებს ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს ან გაერთიანებას შეფასებითი ტერმინოლოგიით. ასევე, ძირითად შემთხვევებში, აღნიშნული მედიასაშუალებების ნიუსებში მოცემული არ არის ამბის მოკლე წინაისტორია, ე.წ. ბექგრაუნდი.

4.4.3. სხვა მედიასაშუალებები

მონიტორინგის პერიოდში არ დაფიქსირებულა შემთხვევა, რომ interpressnews.ge-მ, marshalpress.ge-მ, ან reportiori.ge-მ უარყოფითი ან დადებითი ეპითეტით მოიხსენია ულტრანაციონალისტური ჯგუფები. აღნიშნული მედიასაშუალებები მათ აღსაწერად სარედაქციო ტექსტებში არ იყენებენ შეფასებთ სიტყვებს და მკითხველს ნეიტრალური ტერმინოლოგიით, ეპითეტების გარეშე აწვდიან ინფორმაციას მათ შესახებ. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ისინი ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს მოიხსენიებენ მხოლოდ

მათი დასახელებით - “ქართული მარში”, “ეროვნული ერთობა” და ა.შ. ასევე, მათ მოიხსენეიებენ როგორც “კონტრაქციას” ან “კონტრაქციის მონაწილეებს”.

4.5. სარედაქციო პოლიტიკა ულტრანაციონალისტების გაშუქებისას

კვლევის ობიექტი ხუთი ონლაინ მედიასაშუალებიდან კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს interpressnews.ge-სა და reportiori.ge-ს რედაქტორება. სიღრმისეული ინტერვიუები 2019 წლის ივნის-ივლისში ჩატარდა tabula.ge-სა და On.ge-ს რედაქტორებთან, ასევე marshalpress.ge-ს დირექტორთან. აღნიშნული ინტერვიუები, მედიასაშუალებების კონტენტანალიზთან ერთად, ქმნის შესაძლებლობას, დასკვნები გაკეთდეს მათ სარედაქციო მიდგომებზე, პრაქტიკასა და გამოცდილებაზე ულტრანაციონალური ჯგუფების გაშუქებისას.

კვლევაში მონაწილე რედაქტორები ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქების გადაწყვეტილებას იღებენ ამბის მნიშვნელობიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე. ეს კრიტერიუმი თითქმის ყველა მედიასაშუალებისთვის საერთოა, თუმცა უშუალოდ გაშუქების პროცესში არსებობს განსხვავებები სარედაქციო მიდგომებს შორის და ნაწილის სარედაქციო პოლიტიკა უფრო გამოკვეთილია.

On.ge-ს მთავარი რედაქტორი გელა ბოჩიკაშვილი ამბობს, რომ როდესაც რედაქციაში განიხილავენ ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქების საკითხს, რედაქცია გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდუალურად, თითოეული შემთხვევის მნიშვნელობის ანალიზიდან გამომდინარე. მისი თქმით, მთავარი კრიტერიუმი არის ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ჯგუფის აქტივობა და ასევე, რედაქცია მსჯელობს იმის შესახებაც, თუ როგორ გააშუქონ. როგორც ბოჩიკაშვილი ამბობს, ეს კეთდება იმისთვის, რათა მედიასაშუალებამ ხელი არ შეუწყოს ძალადობრივი ჯგუფების გაძლიერებას (პირადი კომუნიკაცია, 2019).

დაახლოებით მსგავსი მიდგომა აქვს tabula.ge-საც. გამოცემის რედაქტორი რედაქტორი სალომე უგულავაც ამბობს, რომ როდესაც რედაქცია გადაწყვეტილებას იღებს ამა თუ იმ

მოვლენის გაშუქებაზე, გადამწყვეტი ღირებულება ენიჭება ამბის საინფორმაციო ღირებულებას - თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის. თუმცა მისივე განმარტებით, გაშუქების კუთხის შერჩევისას აქცენტს აკეთებენ იმაზე, თუ რამდენად ძალადობრივია ეს ჯგუფი, როგორ რეაგირებას ახდენს პოლიცია მათ ძალადობაზე და ა.შ. (პირადი კომუნიკაცია, 2019).

როგორც უგულავა განმარტავს, ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებს აშუქებენ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ინტერესი მათი გეგმების მიმართ. მაგალითად, რას აპირებენ 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს, როდესაც ტრადიციად ჩამოყალიბდა მათი მხრიდან ლგბტ აქტვისტების წინააღმდეგ გამოსვლა.

“მათი გეგმები საინტერესო იყო მხოლოდ იმიტომ, რომ მიგვეღო ინფორმაცია, მოვლენები შემდგომ როგორ განვითარდებოდა. თუ რამის შეფასება უნდათ, მაგალითად, “ქართული მარშის” წარმომადგენელი სანდრო ბრეგაძე თუ აწყობს პრესკონფერენციას ევროპის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის მავნე მხარეების შესახებ, ასეთ შეხვედრებზე არ დავდივართ, რადგან ამას უფრო პროპაგანდისტული მიზნები აქვს”, - ამბობს სალომე უგულავა (პირადი კომუნიკაცია, 2019).

კვლევისას ტენდენციის სახით გამოიკვეთა On.ge-სა და tabula.ge-ს მიდგომა, ახალი ამბების გაშუქებისას გაემიჯნონ ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებს. რედაქციების ნაწილი მსგავს გამიჯვნას საჭიროდ არ მიიჩნევს და ინფორმაციას ისევე ავრცელებენ, როგორც ამას ნაციონალისტური ჯგუფები აკეთებენ.

ამ საკითხში იდენტური მიდგომა აქვთ On.ge-სა და tabula.ge-ს. ამ მედიასაშუალებების რედაქტორების თქმით, როდესაც ისინი აშუქებენ ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებს, ისინი ყოველთვის ემიჯნებიან მათ ქმედებებს და მკვეთრად ასახავენ კონტექსტს, რადგან, მისივე განმარტებით, ეს არის “მთავარი ამოსავალი წერტილი მათი გაშუქებისას” (პირადი კომუნიკაცია, 2019).

მიუხედავად ამისა, კონტენტ ანალიზი ცხადყოფს, რომ დაკვირვების პერიოდში, On.ge-სა და tabula.ge-ს შემთხვევებში, იყო გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც განმარტებული არ იყო, თუ რატომ არის ესა თუ ის ჯგუფი ძალადობრივი და ასევე არ იყო მოცემული წინაისტორია ამბის, ან თუნდაც ამ ჯგუფების წარმომავლობის შესახებ. რაც შეეხება კვლევის ობიექტ დანარჩენ მედიასაშუალებებს, დაკვირვების პერიოდში ინფორმაცია ულტრანაციონალისტური ჯგუფების ძალადობრივ ქმედებებთან გამიჯვნის შესახებ, თითქმის არ ყოფილა მიწოდებული მკითხველისთვის. ასევე არ იყო მოცემული დამატებითი ინფორმაცია ამბის ან ამ ჯგუფების შესახებ კონტექსტის აღსაქმელად.

ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებისას მათგან გამიჯვნის პრაქტიკას არ ემხრობა marshalpress.ge-ს დირექტორი ოთარ სტეფანიშვილი. marshalpress.ge ულტრანაციონალისტების თუნდაც სიძულვილის შემცველ განცხადებებს მკითხველს უცვლელად, დამატებითი კონტექსტის ან ინფორმაციის გარეშე სთავაზობს.

თუმცა, ოთარ სტეფანიშვილი ამბობს, რომ რედაქციას ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიმართ არ აქვს რაიმე სახის ემოციური დამოკიდებულება და არც მათ საქმიანობას გულშემატკივრობს. მათი აქტივობების, ან განცხადებების გაშუქების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ იმ შემთხვევაში, თუ "ამბავი საინტერესოა" და მათ ყველა განცხადებას არ აქვეყნებენ.

სტეფანიშვილი აღნიშნულ დამოკიდებულებას ასე განმარტავს:

"მთავარია მკითხველი მოიზიდოს და მსჯელობის საგანი გახდეს. ხანდახან ისეთი განცხადებები აქვთ, დასაცინები ხდებიან და ასეთ განცხადებებს ვაქვეყნებთ, რადგან თუ არაჯანსაღია, საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. ფაშისტური შინაარსის განცხადებებსაც იმიტომ ვაქვეყნებთ, რომ კითხვადია, საინტერესოა და ყველას თავისი სახელი ერქმევა ამ შემთხვევაში", - ამბობს სტეფანიშვილი და დასძენს, რომ ულტრანაციონალისტებმა თუნდაც ჰომოფობიური განცხადება გააკეთონ, გააშუქებენ, რადგან, მისივე თქმით, "დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ყველას აქვს აზრის გამოხატვის საშუალება" (პირადი კომუნიკაცია, 2019).

კვლევაში მონაწილე მედიასაშუალებების ნაწილს სარედაქციო პოლიტიკა და ხედვები ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებასთან დაკავშირებით წერილობითი სახით შემუშავებული არ აქვს, თუმცა, არსებობს გარკვეული ზეპირი შეთანხმება და რედაქციაში ყველა თანხმდება გაშუქების პრინციპზე.

ამ რედაქციებს შორის არის tabula.ge. რედაქტორ სალომე უგულავას თქმით, tabula.ge-ს რედაქცია არის მცირე ზომის და ჟურნალისტები რედაქტორებთან ერთად ერთ სივრცეში მუშაობენ. შესაბამისად, ღირებულებებზე, გაშუქების წესსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხზე ზეპირად მსჯელობენ სწორედ ამ საერთო სივრცეში - ნიუსრუმში და ამ პროცესში ყველა თანამშრომელი ჩართულია. (პირადი კომუნიკაცია, 2019).

იმავეს ამბობს On.ge-ს რედაქტორი გელა ბოჩიკაშვილი. ის დასძენს, რომ ჟურნალისტები განსაკუთრებით აქტიურები არიან ამ განხილვებისას და ხშირად თავად პოულობენ არგუმენტებს, თუ როგორ გააშუქონ ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობები.

on.ge-სა და tabula.ge-ს მიდგომებისგან მკვეთრად განსხვავდება marshalpres.ge-ს პოლიტიკა. მედიასაშუალების დირექტორი ოთარ სტეფანიშვილი განმარტავს, რომ რაიმე სახის სარედაქციო პოლიტიკა კონკრეტული თემების, მათ შორის, ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებასთან დაკავშირებით რედაქციას შემუშავებული არ აქვს და მათი მუშაობის სტილი არის უფრო სპონტანური.

“სამსახურში რედაქტორი არ გვყავს. ვსხედვართ ჟურნალისტები, მეც რიგითი ჟურნალისტი ვარ და ვინც რასაც ჩათვლის საჭიროდ, იმას ვაქვეყნებთ. ჩვენს საიტს აქვს ერთადერთი პოლიტიკა – არ მოგვწონს პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”. დანარჩენი, ვინ როგორც ჩათვლის საჭიროდ, ისე ვაქვეყნებთ ამბებს და არავის ვეკითხებით. ერთმანეთს შეიძლება მხოლოდ იმიტომ ვკითხოთ, რომ იმავე ამბავზე არ დავწეროთ,” - ამბობს ოთარ სტეფანიშვილი (პირადი კომუნიკაცია, 2019).

კვლევის ფარგლებში ონლაინ მედიასაშუალებების ფეისბუკ გვერდების საშუალებით მომხმარებლებისთვის მოვლენათა ეპიცენტრიდან შეთვაზებული პირდაპირი ჩართვები (Facebook live) არ გაანალიზებულა, თუმცა On.ge-სა და tabula.ge-ს რედაქტორები

სოციალურ ქსელში პირდაპირ ეთერში გაშუქებას ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქების ერთიან კონტექსტში განიხილავენ და ამბობენ, რომ ისინი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან პირდაპირი ეთერის რეჟიმში მათი აქციის ან სხვა რაიმე აქტივობის გაშუქებას. რედაქტორების თქმით, პირდაპირი ეთერის დროს მოვლენები შეიძლება არაპრგონოზირებადი გახდეს და გაჟღერდეს ძალადობრივი მოწოდებებიც. ამიტომ ისინი ცდილობენ, ფრთხილად გაემიჯნონ მსგავს მოწოდებებს და სიძულვილით მოტივირებულ საპროტესტო აქციებს, თუმცა, რედაქტორების თქმით, ეს რთულია. როგორც ისინი ამბობენ, ხშირია შემთხვევა, რომ ასეთ დროს აქციის მონაწილეების მხრიდან ჟურნალისტებიც გამხდარან აგრესიის სამიზნე და უსაფრთხოება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც შეიძლება უარი თქვან მოვლენების პირდაპირ ეთერში გაშუქებაზე (პირადი კომუნიკაცია).

განსხვავებულია marshalpress.ge-ს მიდგომა. როგორც მედიასაშუალების დირექტორი ოთარ სტეფანიშვილი ამბობს, მათი მიდგომა პირდაპირი ეთერის გაშუქების შემთხვევაში უცვლელია - აშუქებენ იმ ამბებს, რაც შეიძლება მათ მნიშვნელოვნად ჩათვალონ ან რამაც შეიძლება უფრო მეტი მკითხველი/მაყურებელი მოიზიდოს.

რაც შეეხება interpressnews.ge-ს, აღნიშნული მედიასაშუალება არის "პალიტრა ჰოლდინგის" ნაწილი და შესაბამისად, ვიდეო კონტენტს, მათ შორის, პირდაპირ ეთერს, ჰოლდინგში შემავალი მედიასაშუალება Palitranews.ge აწარმოებს.

საკვლევი მედიასაშუალებებიდან მხოლოდ on.ge-სა და tabula.ge-ს რომ აქვთ შემუშავებული სარედაქციო პოლიტიკა ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებისას, რედაქტორებთან ჩაწერილი ინტერვიუების გარდა, დასტურდება კონტენტ ანალიზიდანაც, ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა, ცდილობენ ამ ჯგუფების აღსაწერად შეფასებითი სიტყვები გამოიყენონ, საიდანაც ცხადი გახდება რედაქციის მიდგომა. როგორც On.ge-ს რედაქტორი გელა ბოჩიკაშვილი ამბობს, ულტრანაციონალისტური ჯგუფების აღსანიშნად ყველაზე ოპტიმალურ ტერმინად მიაჩნია "ძალადობრივი ჯგუფები". მისი აზრით, ეს ყველა ადამიანისთვის უფრო გასაგებია.

“გარდა ამისა, ეს გვეხმარება თავი ავარიდოთ საზოგადოებაში მათ პოზიციონირებას მათივე სურვილის მიხედვით. მაგალითად, ფაშისტური მოძრაობის ლიდერის, გიორგი ჭელიძის სურვილია, რომ ის მოვიხსენიოთ ფაშისტური მოძრაობის ლიდერად და ამ დროს რა უნდა ვქნათ? თუ ვიხსენიებთ, როგორც ის მოითხოვს, მაშინ ვხდებით მისი იდეების გამტარი”, - ამბობს გელა ბოჩიკაშვილი. (პირადი კომუნიკაცია, 2019).

ულტრანაციონალისტური ჯგუფების დასახასიათებლად მხოლოდ ერთ, კონკრეტულ ტერმინს არ იყენებს tabula.ge და როგორც მისი რედაქტორი სალომე უგულავა ამბობს, თითოეულ შემთხვევას განიხილავენ ინდივიდუალურად. მისივე თქმით, ტერმინოლოგიის შემუშავებაზე კომუნიკაცია ჰქონდა სხვა, მსგავსი ღირებულებების რედაქციებთან, თუმცა, ერთიან სტანდარტზე შეჯერება ვერ მოხერხდა. უგულავას განმარტებით, ულტრანაციონალისტების ერთი ტერმინით მოხსენიება რთულია, რადგან ერთი სახელწოდება შეიძლება გამოხატავდეს იდეოლოგიას, მეორე - პოლიტიკურ ორიენტაციას და მესამე აღწერდეს ქმედებებს. მაგალითად, როდესაც აქციას ან სხვა ქმედებას აქვს ძალადობრივი სახე, tabula.ge იყენებს ტერმინს “ძალადობრივი ჯგუფები”, როდესაც ისეთი აქციებია, რომლებიც ქვეყნის საგარეო კურსს ეხება, “პროპუტინისტური” ან “პრორუსული”. ტერმინის შერჩევა დამოკიდებულია გასაშუქებელი მოვლენის შინაარსზე (პირადი კომუნიკაცია, 2019).

tabula.ge-სა და On.ge-ს რედაქტორების თქმით, ისინი ულტრანაციონალისტებს არ ეკითხებიან თუ როგორ სურთ მოხსენიება. უარყოფითი ტერმინით მოხსენიების გამო მათი მხრიდან პრეტენზიით მიმართვას ვერ იხსენებს სალომე უგულავა, თუმცა, ამბობს, რომ როდესაც ულტრანაციონალისტების შესახებ წერს, სოციალურ ქსელ ფეისბუკში მათ გვერდზე იწერება ბევრი უარყოფითი კომენტარი, რაც მას ორგანიზებული შეტევის შთაბეჭდილებას უქმნის (პირადი კომუნიკაცია, 2019).

tabula.ge-სგან განსხვავებით ტერმინების გამო საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში უჩივლეს On.ge-ს. სადავო გახდა On.ge-ს მიერ მომზადებული მასალა, სადაც გიორგი გაბედავა მოხსენიებული იყო როგორც „ჰომოფობიური და ნეონაცისტური

იდეოლოგიის მატარებელი“ პირი (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2018). გაბედავა მიიჩნევდა, რომ ის არ არის ნეონაცისტური იდეოლოგიის მატარებელი, თუმცა რედაქციამ ეს ჩანაწერი არ შეცვალა (პირადი კომუნიკაცია, 2019).

საბოლოოდ, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ გაბედავას საქმეზე გადაწყვეტილება ვერ მიიღო, რადგან ხმები გაიყო. თუმცა ქარტიის საბჭოს წევრებმა რომლებიც სიზუსტის პრინციპის დარღვევას ეთანხმებოდნენ, აღნიშნეს, რომ ეთიკური პრინციპების დაცვის მიზნით ჟურნალისტმა კონკრეტულ პირს არ უნდა მიანიჭოს გარკვეული იარლიყი მტკიცებულებების გარეშე და თუ ამას იზამს, თავად მასალაში უნდა ჩანდეს, თუ რას ეყრდნობა ის. საბჭოს წევრთა ნაწილის აზრით, ვინმეს განსაზღვრა “ნეონაცისტური იდეოლოგიის მატარებლად” არის შეფასებითი და სადავო ნიუსში არ იყო მითითებული, თუ რატომ მოიხსენია რედაქციამ ის ამ ფორმით (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2018).

როგორც კონტენტ ანალიზი აჩვენებს, marshalpress.ge, მსგავსად interpressnews.ge-სა და reportiori.ge-სა, რაიმე შეფასებით ტერმინს ულტრნააციონალისტური ჯგუფების აღსაწერად არ იყენებენ.

marshalpress.ge-ს დირექტორი ოთარ სტეფანიშვილი განმარტავს, რომ, რა სახელწოდებაც ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს აქვთ, მხოლოდ იმ სახელწოდებით, შეფასების გარეშე მოიხსენიებენ, მაგალითად, “ქართული მარში”. ოთარ სტეფანიშვილის მოსაზრებით, მათთან მიმართებით marshalpress.ge პოზიციას არ აფიქსირებს (პირადი კომუნიკაცია, 2019).

ონლაინ მედიაზე დაკვირვების პროცესში გამოიკვეთა, რომ ინტერპრესნიუსი ულტრანაციონალისტური ჯგუფების შესახებ სიახლეების ნაწილს ავრცელებდა ნიშნით NS. ეს გამოცემა 12 მაისის სპეცოპერაციამდეც და მას შემდეგაც აქტიურად აშუქებდა ნარკოდანაშაულის თემას როგორც ღამის კლუბების, ისე - ულტრანაციონალისტური ჯგუფების კონტექსტში. კლუბებში ჩატარებულ სპეცოპერაციასა და თანმდევ მოვლენებზე

სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტართა განცხადებებს აქვეყნებდა ნიშნით NS (News from subscribers). მკითხველს ინფორმაცია ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობაზე, ძირითადად, სწორედ NS ნიშნით მიეწოდებოდა.

თავად მედიასაშუალება თავის ვებგვერდზე განმარტავს, რომ NS ნიშნავს News from subscriber (ამბები ხელმომწერებისგან), რაც გულისხმობს "ხელშეკრულების ფარგლებში დადებულ სიახლეს" (ინტერპრესნიუსი, 2019), შესაბამისად გამოცემა ამგვარ მასალებს კონკრეტული თანხის სანაცვლოდ აქვეყნებს, თუმცა მასალის დამკვეთი არ ჩანს და მკითხველისთვის გაუგებარი რჩება, ვინ იხდის ფულს ასეთი მასალების გამოქვეყნებისთვის.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მიიჩნევს, რომ დაფინანსებული მასალის მსგავსი სახის გამიჯვნა მკითხველისთვის დამაბნეველია და უმჯობესი იქნება, თუ ონლაინ და ბეჭდური მედია გამოიყენებს წარწერას "რეკლამა", "სარეკლამო სტატია" ან "სარეკლამო გვერდი" (ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2019).

ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების გაშუქება რეკლამის, ან ფასიანი მომსახურების ფორმით არ დაფიქსირებულა კვლევის ობიექტ სხვა ონლაინ მედიასაშუალებებში გარდა interpressnews.ge-სა.

tabula.ge-სა და On.ge-ს რედაქტორები ამბობენ, რომ ულტრანაციონალისტური ჯგუფებს აქამდე არ გამოუთქვამთ სურვილი, ესარგებლათ ამ მედიასაშუალებების ფასიანი მომსახურებით და თავიანთი აქტივობის გაშუქება ამ ფორმით ეცადათ. ორივე მედიასაშუალება აცხადებს, რომ ასეთი შემოთავაზება რომ მიიღონ ულტრანაციონალისტური ჯგუფებისგან, ისინი უარს ეტყვიან მსგავს მომსახურებაზე. როგორც სალომე უგულავა და გელა ბოჩიკაშვილი განმარტავენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ვებგვერდებზე გამიჯნულია სარეკლამო და სარედაქციო მასალები, არ

გამოაქვეყნებენ ისეთი შინაარსის რეკლამას, რომელიც ეწინააღმდეგება მათ სარედაქციო ღირებულებებს (პირადი კომუნიკაცია, 2019).

tabula.ge-სა და On.ge-სგან განსხვავებით, marshalpress.ge-ს დირექტორი ოთარ სტეფანიშვილი ამბობს, რომ ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს ჰქონდათ სურვილი, მედიასაშუალებას მათი აქტივობები გაევრცელებინა ფასიანი მომსახურების ფარგლებში, თუმცა marshalpress.ge-მ მათ უარი უთხრა. როგორც სტეფანიშვილი განმარტავს, არ უნდოდათ, რომ დაფინანსების სანაცვლოდ ულტრანაციონალისტური ჯგუფების გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ და გამხდარიყვნენ მათი ჰომოფობიური, სიძულვილის შემცველი განცხადებების გამტარები. მისივე თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლები რედაქციაში რეკავდნენ და მათ ატყობინებდნენ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, თუმცა რამდენჯერმე გაშუქებაზე უარის მიღების შემდეგ მხოლოდ პრესრელიზების გაგზავნით კმაყოფილდებიან (პირადი კომუნიკაცია, 2019).

კვლევაში მონაწილე რედაქტორების თქმით, ისინი ინფორმაციას ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების შესახებ, ძირითადად, სოციალური ქსელებითა და სხვა მედიასაშუალებებით იგებენ. მათ არ აქვთ ახლობლური დამოკიდებულება ამ ჯგუფების წევრებთან და არ იღებენ ექსკლუზიურად ინფორმაციას (პირადი კომუნიკაცია).

ონლაინ მედიასაშუალებების რედაქტორები თანხმდებიან იმაზე, რომ ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების უმთავრესი მიზანი სწორედ მედიის ყურადღების მიქცევაა და მათ იმედი აქვთ, რაც უფრო ხმაურიან აქციას გამართავენ ან სკანდალურ განცხადებას გაავრცელებენ, მით უფრო აქვთ მედიაში მოხვედრის შანსი (პირადი კომუნიკაცია).

კვლევის შედეგების ანალიზით, პირველ საკვლევ კითხვას - ახდენენ თუ არა გავლენას ულტრანაციონალისტური ჯგუფები ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგზე? -

შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ულტრანაციონალისტური ჯგუფები გავლენას ახდენენ ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგზე და ამას აკეთებენ, ძირითადად, ორი საშუალოებით - ძალადობრივი, საზოგადოებაში რეზონანსის გამომწვევი საპროტესტო აქციების ორგანიზებითა და სკანდალური, ასევე ძალადობის შემცველი განცხადებების გავრცელებით, რომელთა გაშუქებაზე გვერდის ავლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

რაც შეეხება მეორე საკვლევ კითხვას - რა ტიპის გავლენას ახდენენ ულტრანაციონალისტები ონლაინ მედიის დღის წესრიგზე? - შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედიასაშუალებების ნაწილზე ეს გავლენა არის პირდაპირი - მათი ნაწილი პირდაპირ მისდევს ულტრანაციონალისტური ჯგუფების დღის წესრიგს და მკითხველს იშვიათად, ან არასაკმარისი დოზით სთავაზობს ალტერნატიულ აზრს.

როგორც On.ge-ს რედაქტორი გელა ბოჩიკაშვილი ამბობს, მიუხედავად მათ მიერ შემუშავებული ზეპირი წესებისა და სარედაქციო დამოკიდებულებისა, არსებობს საფრთხე, რომ On.ge ძალაუნებურად გახდეს ულტრანაციონალისტური ჯგუფების იდეების გამავრცელებელი და დაეხმაროს მათ, მოხვდნენ მედიის დღის წესრიგში. ბოჩიკაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ ეს რისკები მინიმუმამდე შეამცირონ, სხვადასხვა სარედაქციო გადაწყვეტილებით (გამიჯვნა, უარყოფითი ტერმინოლოგიით მოხსენიება და ა.შ), სრულად შეუძლებელია უარის თქმა მათი აქტივობების გაშუქებაზე და გარკვეულ მოვლენებზე თვალის დახუჭვა. თუმცა, როგორც ის დასძენს, თუ ულტრანაციონბალისტების ყოველი ახალი ნაბიჯის გაანალიზება მოხდება, ალბათ, გამორიცხულია, რომ On.ge იქცეს მათი აზრების გამტარად (პირადი კომუნიკაცია, 2019).

marshalpress.ge-ს დირექტორი ოთარ სტეფანიშვილიც ეთანხმება მოსაზრებას, რომ არსებობს ულტრანაციონალისტური ჯგუფების იმ მასშტაბის აქტივობები, რომელთა გაშუქებაზე უარის თქმა შეუძლებელია. ის გამოსავალს ამ შემთხვევაში ხედავს საზოგადოებისთვის ყველანაირი ინფორმაციის, მათ შორის, საწინააღმდეგო აზრის მიწოდებაში (პირადი კომუნიკაცია, 2019).

ოთარ სტეფანიშვილისგან განსხვავებით სალომე უგულავა მიიჩნევს, რომ tabula.ge-ს სარედაქციო გადაწყვეტილებები საკმარისია იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ ულტრანაციონალისტური ჯგუფების მესიჯების გავრცელება. როგორც ის ამბობს, რედაქციაში მუდმივად ფიქრობენ, როგორ არ დაეხმარონ ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს გზავნილების გავრცელებაში. უგულავა მაგალითად იხსენებს გაშარჟებას ფოტოს ან სათაურის საშუალებით და მკითხველისთვის ინფორმაციის იმგვარად მიწოდებას, რომ ულტრანაციონალისტები სერიოზულად არ აღიქვან (პირადი კომუნიკაცია, 2018).

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვუპასუხოთ მესამე საკვლევ კითხვას - ახდენენ თუ არა ონლაინ მედიასაშუალებები ულტრანაციონალისტური ჯგუფების ძალადობრივი გზავნილების ტირაჟირებას? - კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე – თვისებრივი ანალიზის ნაწილი ცხადყოფს, რომ მედიასაშუალებების ნაწილი პირდაპირ ახდენს ულტრანაციონალისტური გზავნილების ტირაჟირებას და ეს შეიძლება იყოს როგორც მიზანმიმართული, ისე - უნებლიე, რაც გამოწვეულია სარედაქციო პოლიტიკის მკაფიოდ ჩამოუყალიბებლობით ულტრანაციონალისტების გაშუქებასთან დაკავშირებით, ასევე, მკითხველისთვის მათი განცხადებების უცვლელად, შეფასებებისა და კონტექსტის გარეშე შეთავაზებით. გარდა ამისა, ტირაჟირებად შეიძლება ჩაითვალოს ულტრანაციონალისტური ძალების ძალადობრივი მოქმედებებისა და განცხადებების მკითხველისთვის ფასიანი ხელშეკრულების ფარგლებში, კრიტიკული შეფასების გარეშე მიწოდება.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადასტურდა პირველი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ულტრანაციონალისტური ჯგუფები გავლენას ახდენენ ქართული ონლაინ მედიის დღის წესრიგზე. როდესაც ულტრანაციონალისტური ჯგუფები მართავენ მასშტაბურ აქციებს, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ და უპირისპირდებიან ადამიანთა სხვა ჯგუფებს, სამართალდამცავებს, კეტავენ ქუჩას და ავრცელებენ მუქარის შემცველ, ძალადობრივ განცხადებებს, მედიასაშუალებები მსგავს ამბებს გვერდს ვერ აუვლიან და შესაბამისად, იძულებულნი ხდებიან, მნიშვნელოვანი დრო და ყურადღება დაუთმონ მსგავს მოვლენებს და დროებით მაინც შეცვალონ თავიანთი დღის წესრიგი.

კვლევით ნაწილობრივ დადასტურდა მეორე ჰიპოთეზაც. ონლაინ მედიასაშუალებების უმრავლესობა ულტრანაციონალისუტურ ჯგუფებს ძირითადად, სწორედ ძალადობრივი, მასშტაბური საპროტესტო აქციებისა და ასევე ძალადობრივი განცხადებების გავრცელების შემდეგ აშუქებენ. მედიის ნაწილისთვის კი აღნიშნულს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს და ინფორმაცია მათი აქტივობების შესახებ, ასევე მათი განცხადებები, მკითხველს შეიძლება მიაწოდოს სარეკლამო ხელშეკრულების ფარგლებში და ამით ხელი შეუწყოს სიძულვილის ტირაჟირებას.

ონლაინ მედიასაშუალებების რედაქტორებთან ინტერვიუები ცხადყოფს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ამბების რედაქციებში ჩამოყალიბებულ, თანმიმდევრულ სარედაქციო პოლიტიკას, ასევე, ერთიანად შემუშავებულ ღირებულებათა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მედიასაშუალებები არ გახდნენ ულტრანაციონალისტური ჯგუფების ძალადობრივი მოწოდებებისა და იდეოლოგიის გავრცელების ხელშემწყობები.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქება იზრდება მათ მიერ ძალადობრივი აქციების ჩატარების და სკანდალური განცხადებების გაკეთების შემდეგ.
- რაც უფრო ძალადობრივი და მასშტაბურია აქტივობა, მით უფრო დიდია ულტრანაციონალისტების მიერ მედიის დღის წესრიგზე გავლენის მოხდენისა და ყურადღების მიქცევის შანსი;
- ონლაინ მედიასაშუალებებს არ აქვთ ერთიანი მიდგომები და სტანდარტები ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებასთან დაკავშირებით;
- მედიასაშუალებების მხოლოდ ნაწილს აქვს ნამსჯელი იმის შესახებ, თუ როგორ გააშუქონ ულტრანაციონალისტური ჯგუფები ისე, რომ არ გახდნენ მათი ძალადობრივი გზავნილების გამავრცელებლები;
- იმ მედიასაშუალებებში, რომლებიც ცდილობენ ჰქონდეთ ჩამოყალიბებული სარედაქციო პოლიტიკა, ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქების წესები არ არსებობს წერილობითი სახით და ძირითადად არის ზეპირი განხილვებისა და შეთანხმების ნაწილი;
- მედიასაშუალებების ნაწილისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად პოპულარული შეიძლება გახდეს ესა თუ ის ამბავი და უფრო მეტი მკითხველის მოსაზიდად უარს არ ამბობენ ძალადობრივი ან/და დისკრიმინაციული გზავნილების ტირაჟირებაზეც;
- არსებობენ ონლაინ მედიასაშუალებები, რომლებიც ინფორმაციას ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების შესახებ ავრცელებენ სარეკლამო, ფასიანი მომსახურების ფარგლებში კონკრეტული ანაზღაურების სანაცვლოდ, რაც ხელს უწყობს ამ ჯგუფების მოსაზრებების უცვლელად ტირაჟირებას და ფართო აუდიტორიაზე გასვლას;

- მკვეთრად ჩამოუყალიბებელი სარედაქციო პოლიტიკის გამო მედიასაშუალებები შეიძლება გახდნენ ძალადობრივი, დისკრიმინაციული მოწოდებების გამტარები მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათი მიზანი ეს არ არის;
- მედიასაშუალებების მხოლოდ ნაწილი იყენებს შეფასებით სიტყვებს ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებისას და ეს შეფასებითი სიტყვების არის მკვეთრად უარყოფითი შინაარსის მატარებელი, სადაც ჩანს რედაქციის დამოკიდებულება გასაშუქებელი ობიექტის მიმართ;
- მედიასაშუალებები ყოველთვის არ აწვდიან მკითხველს ინფორმაციას ულტრანაციონალისტური ჯგუფების წარმომავლობისა და მათი სხვა აქტივობების შესახებ ამბის კონტექსტის უკეთ გასააზრებლად;
- მედიასაშუალებების მიერ უარყოფითი შინაარსის შეფასებითი ტერმინების გამოყენება ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიმართ, რიგ შემთხვევებში არ არის საკმარისი და საჭიროა მკითხველისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, თუ რატომ არიან ეს ჯგუფები ასე მოხსენიებულნი;
- მნიშვნელოვანია მედიასაშუალებებს ჰქონდეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სარედაქციო პოლიტიკა და მიდგომები ულტრანაციონალისტების გაშუქებისას წერილობითი თუ არა, ზეპირი ფორმის სახით მაინც;
- მედიასაშუალებები როდესაც კონკრეტულ ჯგუფებს მოიხსენიებენ რაიმე ტიპის შეფასებითი ტერმინით, მკითხველს უნდა მიაწოდონ კონკრეტული მაგალითი, განმარტება თუ რატომ მიიჩნევენ ასე;
- როდესაც მედიასაშუალებები აშუქებენ რომელიმე ულტრანაციონალისტური ჯგუფის აქტივობას, კონტექსტის უკეთ აღსაქმელად, მნიშვნელოვანია მკითხველს მიაწოდონ ინფორმაცია მათი წარსული აქტივობების შესახებ, მით უმეტეს, თუ ასეთი აქტივობა თუ შეიცავდა ძალადობის, დისკრიმინაციის, ან მუქარის ელემენტებს და რა რეაგირება მოჰყვა ამას სამართალდამცავების მხრიდან.

კვლევის ლიმიტი

შეზღუდული რესურსებისა და დროის გამო კვლევა არ არის მასშტაბური და ის მხოლოდ ონლაინ მედიასაშუალებების მცირე ნაწილს მოიცავს მაშინ, როდესაც ბაზარზე ათეულობით ონლაინ მედიასაშუალება არსებობს. იმისათვის, რომ შემუშავდეს უფრო სრულყოფილი რეკომენდაციები და სახელმძღვანელო წესები, მომდევნო ეტაპზე საჭიროა კვლევითი ველის გაფართოება.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ კვლევაში მონაწილე მედიასაშუალებებს აქვთ განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკა ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაშუქებისას. შესაბამისად, უფრო სრულყოფილ სურათს მოგვცემდა არამხოლოდ ონლაინის, არამედ სხვა ტიპის მედიასაშუალებების ანალიზი, ასევე, სხვა რედაქტორებთან კომუნიკაცია და თავად ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობების ანალიზი, მათ შორის, სოციალურ ქსელებში.

შემდგომი კვლევისთვის და უფრო დიდი სურათის დასანახად მნიშვნელოვანია ანალიზი და რეკომენდაციები თუ როგორ უნდა გაშუქდნენ ასეთი ჯგუფები ისე, რომ ხელი არ შეეწყოს მათ პოპულარიზაციას, მათი მოსაზრებების ტირაჟირებას და ამავდროულად, არ მოხდეს მათი ნორმალიზება, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში მათი შემოყვანა და ლეგიტიმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Danah m. Boyd, Nicole B. Ellison (2008). Social Network Sites: Definition, History,and Scholarship. *Journal of Computer-Mediated Communication .(13). 210–230.*
2. Andrea Calderaro (2018), *Social Media and Politics.* The SAGE Handbook of Political Sociology. 781–796. SAGE.
3. Moffitt, B. (2018). Populism 2.0: Social media and the false allure of 'unmediated' representation. In *Populism and the Crisis of Democracy* (pp. 30-46). Routledge.
4. Chermak, S., Freilich, J., & Suttmoeller, M. (2013). The organizational dynamics of far-right hate groups in the United States: Comparing violent to nonviolent organizations. *Studies in Conflict & Terrorism*, *36*(3), 193-218.
5. Gattinara, P. C., & Froio, C. (2018). Getting 'right' into the news: grassroots far-right mobilization and media coverage in Italy and France. *Comparative European Politics*, 1-21.
6. McCombs, M. E., & Shaw, D. L. (1972). The agenda-setting function of mass media. *Public opinion quarterly*, *36*(2), 176-187.
7. DeFleur, M. L., & DeFleur, M. (2010). Mass communication theories. *Explaining origins, processes, and effects*
8. Gil de Zúñiga, H., Weeks, B., & Ardèvol-Abreu, A. (2017). Effects of the news-finds-me perception in communication: Social media use implications for news seeking and learning about politics. *Journal of computer-mediated communication*, *22*(3), 105-123.

9. Denis McQuail (2010). McQuail's Mass Communication Theory, 6th edition. SAGE Publications Ltd, ISBN 978-1-84920-291-6.
10. Weeks B., Ardèvol-Abreu. B. & Gil de Zúñiga.(2015) Online Influence? Social Media Use, Opinion Leadership, and Political Persuasion, I*nternational Journal of Public Opinion Research* 29(2):edv050 ვებგვერდიდან - https://bit.ly/2xELRzL ნანახია 04.07.2019
11. St. Louis Post-Dispatch, 2018. *How social media is fueling the rise of nationalism and extremism,* ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2JqkCQ3
12. Amnesty International, 2013. *Georgia: Homophobic violence mars Tbilisi Pride event,* ბოლო ნახვა 27.06.2018. https://bit.ly/2XSsxxw
13. BBC, 2018. *Georgia's rave revolution*, ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bbc.in/2Ot2l4R
14. Facebook, 2019. *Removing Coordinated Inauthentic Behavior from Russia,* ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2W1h9LR
15. Nationalism in Encyclopedia Britannica. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2izXfX4
16. Jonas Staal (2014). To Make a World, Part I: Ultranationalism and the Art of the Stateless State, *e-flux journal #57, september, 2014.* ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XGxDZK
17. Anti-liberal groups in Merriam-Webster.com. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XBq9vQ
18. The far right in in Merriam-Webster.com. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2NJOVVX
19. Neo-nazi groups in Southern Poverty Law Center. ბოლო ნახვა 28.06.2019 ვებგვერდიდან https://bit.ly/2lecdRe
20. ჰომოფობია - ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2Y1SoTW

21. Club drugs in US National Library of Medicine. ბოლო ნახვა 29.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XZ4nBk
22. Internet in Technopedia. ბოლო ნახვა 29.06.2019 ვებგვერდიდან https://bit.ly/2K6S4Kd
23. Social media in Merriam-Webster.com. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2jLXImc
24. Online media in Urban Dictionary. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XErjlv
25. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (2018). ვებგვერდიდან https://bit.ly/2XOoHFG ნანახია 22.06.2019
26. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2018). *საბჭოს სხდომის ოქმი საქმეზე - გიორგი გაბედავა გელა ბოჩიკაშვილის წინააღმდეგ,* ბოლო ნახვა 07.07.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2LgNOLe
27. Human Right Watch (2018). *სამაგალითო დასჯა - საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები*
28. ნეტგაზეთი, 2018. *რა უძღოდა წინ თბილისის კლუბებში სპეცრაზმის შესვლას,* ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2YHTykr
29. პირველი არხი, 2018. *„ეროვნული ერთობის“ წევრები კონტრაქციას მართავენ,* ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2G40fpP
30. ნეტგაზეთი, 2018. *“სისხლს მოითხოვენ? ზღვა სისხლს მიიღებენ!” – “ეროვნული ერთობა” იმუქრება,* ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2G3wwND
31. პირველი არხი, 2018. კლუბი „ბასიანი" გაიხსნა. ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/32hUWwc
32. მითების დეტექტორი, 2019. *ფეისბუკში დეზინფორმაციის გამავრცელებელი ულტრა-ნაციონალისტური გვერდების ნაწილი გაუქმდა,* ნოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2XxjIFa

33. On.ge, 2018. *სამოქალაქო პროტესტი 2018 წლის საქართველოში*, ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/32jWLbZ
34. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2019. *სარეკლამო და სარედაქციო მასალების გამიჯვნა,* ბოლო ნახვა 27.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2G5fqie
35. ქავთარაძე ლ. (2019), ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, ბოლო ნახვა 3.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2JKXFsb
36. ძველიშვილი ნ. (2015), ეთიკური პრობლემები ონლაინ მედიაში სოციალური ქსელების გამოყენებისას, ბოლო ნახვა 25.04.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/1PscLNb
37. ძველიშვილი ნ. (2018), პროქართულით შეცვლილი პრორუსული ნარატივი, ბოლო ნახვა 25.04.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2Lr7XuA
38. UNDP (2018), არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოოს ანგარიში 2016-2018, ბოლო ნახვა 01.04.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2NIMz9T
39. საქართველოს მთავრობა, 2019. *საქართველოს მთავრობის განკარგულება N53, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ,* ბოლო ნახვა 28.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2LaIKYX
40. ამერიკის ხმა, 2018. "თეთრი ხმაურის მოძრაობის" აქცია თბილისში მშვიდობიანად დაიშალა, ბოლო ნახვა 28.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/2LI3lDm
41. ლიბერალიზმი - ადამიანის უფლებათა ლექსიკონი. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2S42CNR
42. კონსერვატიზმი - სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. ბოლო ნახვა 28.06.2019. ვებგვერდიდან https://bit.ly/30p8XX8
43. ნაციზმი - მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XCcvDy
44. ფაშიზმი - მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. ბოლო ნახვა 28.06.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2S4RJvc

45. marshalpress.ge (2018), *კლუბ „ბასიანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მძიმე ბრალდებებს პასუხობს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2LfwfeL
46. marshalpress.ge (2018), *ეს არის იმის აღიარება რომ კლუბ ბასიანში ნარკოტიკების ბრუნვა თავისუფლად ხდება – გია გაბრიჭიძე,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2LMPlIz
47. reportiori.ge (2018), *მამა პეტრე: ახლობელი დამიკავშირდა, შენი შვილი ძალიან ბნელი ხალხის გარემოცვაშია და დროზე უშველეო,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2xGSMZ4
48. interpressnews.ge (2018), *ნარკორეალიზაციის ბრალდებით შსს-მ 7 პირი დააკავა,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2JsdWRx
49. On.ge, 2018 *ბოლო რამდენიმე დღეში, სავარაუდოდ, ნარკოტიკის ზედოზირებით 2 ადამიანი გარდაიცვალა,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/o9g
50. reportiori.ge (2018), *თათია პაჭკორია: რამ შეგაძულათ ასე საკუთარი სამშობლო, ისტორია?! - ვინ ხართ?! სად გაიზარდეთ?!* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2JFOCGC
51. reportiori.ge (2018), *რომან კუსიანი: „ბასიანი“ არის ნარკობარიგების ბუდე!* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2G0Gpvx
52. On.ge (2018), *ხუთი სიკვდილი შვიდ დღეში, საქართველოში "მკვლელი ნარკოტიკი" გამოჩნდა,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/olo
53. interpressnews.ge (2018), *„ქართული მარშის“ წევრების ახლობლებმა შიმშილობა დაიწყეს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2JqUMez
54. interpressnews.ge (2019), *ჩვენ შესახებ,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2JtmYfy
55. On.ge (2018), *უსამართლობაა ქართული მარშის წევრების დაჭერა - ადა მარშანია ნეონაცისტური დაჯგუფების აქციაზეა,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/obj

56. On.ge (2018), *სასამართლომ ლადო სადღობელაშვილი და ქართული მარშის 5 წევრი პატიმრობაში დატოვა,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/ohv
57. On.ge (2018), *ბრეგაძე: ოცნებისა და პატრიოტთა ალიანსის დეპუტატთა ნაწილი მარშის წევრებს თავდებში უდგება,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/ohi
58. interpressnews.ge (2018), *„ქართული მარშის“ ერთ-ერთი დაკავებული წევრის დედა უვადო შიმშილობას აცხადებს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2NMdPnR
59. marshalpress.ge (2018), *პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე სამი ადამიანი დააკავეს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2S8o0BD
60. On.ge, (2018) *რა მოხდა კლუბ ბასიანთან და კაფე გალერისთან - 12 მაისის მოვლენების დეტალები,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/osr
61. On.ge (2018), *ჩვენი თავისუფლებისთვის - პარლამენტთან აქცია 13 მაისს, 15 საათზე განახლდება* http://go.on.ge/ou6
62. interpressnews.ge (2018), *გიორგი გაბედავა და მისი თანამოაზრეები ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე იკრიბებიან,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2JpB176
63. interpressnews.ge (2018), *გიორგი გაბედავა კონტრაქციას აანონსებს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XExoOs
64. marshalpress.ge (2018), *ლომჯარია შე დედამო**ო გალერისთან რომ მიქანდი ბარიგების დასაცავად – სანდრო ბერგაძე ნინო ლომჯარიას მიმართავს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XE2A5y
65. reportiori.ge (2018), *გიორგი გიგაური: აბა, ამას თუ გაამწესებენ საქათმეში?! თუ ლგბტ-ქათმები ჩვენთან ხელშეუხებლები არიან?!* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2NKQt28
66. On.ge (2018), *კონტრაქციას ქართული მარში შეუერთდა,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/ovo

67. marshalpress.ge (2018), *რუსთაველის გამზირზე ერთმანეთის პარალელურად სამი აქცია მიმდინარეობს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/32eUcbb
68. tabula.ge (2018), *ჰომოფობთა და ტრანსფობთა ჯგუფი მთავრობის კანცელარიასთან აქციის ჩატარებას გეგმავს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2LLSOas
69. On.ge (2018), *ქართულმა მარშმა თანასწორობის მოძრაობის აქციის გაუქმების შემდეგ მსვლელობაზე უარი თქვა,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/p1k
70. reportiori.ge (2018), *სანდრო ბრეგაძე: ესაა სრული დეგრადაცია, გარყვნა, გადაშენება და კატასტროფა,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2Ld7waY
71. reportiori.ge (2018), *ქეთი ხოსიტაშვილი: გაოგნებული და შეძრწუნებული ვადევნებ თვალს თბილისში განვითარებულ მოვლენებს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2S5zZ2U
72. reportiori.ge (2018), *გია გაბრიჭიძე: ევროპისკენ მიმავალი გზა არ გადის კლუბებზე და არც მარაზმატიკების ტვინებზე!* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2NIMNhf
73. On.ge (2018), *ჩვენი მშვიდობისთვის აქციის წევრები საქართველოს ჰიმნს მღერიან, კონტრაქციაზე - ლოცულობენ,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/ov2
74. interpressnews.ge (2018), *„ქართული მარშის“ მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეებმა პოლიციის მიმართულებით პლასტმასის ბოთლები ისროლეს,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2G7dbuO
75. *რუსული ფული ქართული ნეოფაშიზმის უკან,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/32sT2sW
76. interpressnews.ge (2018), *რამაზ საყვარელიძე - საზოგადოებამ და ეკლესიამ უნდა თქვას მკაფიოდ, ძალადობა არც მართლმადიდებლობაა და არც* ქართველობა, ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XW0X2j

77. interpressnews.ge (2018), *„ქართული მარშის“ წარმომადგენელი ლგბტ-თემის წევრებზე - მოვიდნენ, დავხვდებით და საკადრის პასუხს გავცემთ,* ბოლო ნახვა 01.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2YKyCJJ
78. reportiori.ge (2018), *ლგბტ აქციაზე გამომსვლელს თავს დაესხნენ,* ბოლო ნახვა 02.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2G2z3ri
79. On.ge (2018), *კლუბი BASSIANI იხსნება*, ბოლო ნახვა 02.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/pb1
80. interpressnews.ge (2018), *აქციაზე „ნუ მომკლავ“ ხალხმრავლობის გამო რუსთაველის გამზირი გადაიკეტა,* ბოლო ნახვა 02.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2JMW1UD
81. interpressnews.ge (2018), *ფილარმონიასთან მიმდინარე აქციაზე 9 ადამიანია დაკავებული,* ბოლო ნახვა 02.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2XA21cM
82. On.ge (2018), *ქართულმა მარშმა თანასწორობის მოძრაობის აქციის გაუქმების შემდეგ მსვლელობაზე უარი თქვა,* ბოლო ნახვა 02.07.2019, ვებგვერდიდან http://go.on.ge/p1k
83. tabula.ge (2018), *ქაშუეთთან მიმდინარე კონტრაქციის მონაწილეები 9 აპრილის ბაღში,* ბოლო ნახვა 02.07.2019, ვებგვერდიდან https://bit.ly/2xF5ebN
84. Mediachecker.ge (2019), *ტერმინთა განმარტება,* ბოლო ნახვა 10.07.2019, ვეგბერდიდან https://bit.ly/2xHBeMo

დანართი

კითხვარი რედაქტორებისთვის

1. ულტრანაციონალისტური ჯგუფების („ქართული მარში“, „ქართული იდეა“ და ა.შ) აქტივობებს რა შემთხვევაში აშუქებს თქვენი მედიასაშუალება? გაქვთ თუ არა წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმები, რა შემთხვევაში აშუქებთ, ან არ აშუქებთ მათ აქტივობებსა და განცხადებებს? თუ კი, როგორია ეს კრიტერიუმები?
2. როდის და რა ფორმით შემუშავდა ეს კრიტერიუმები? მხოლოდ რედაქტორები შეთანხმდნენ თუ ჟურნალისტებიც იყვნენ ჩართულნი მათ შემუშავებაში? იციან ჟურნალისტებმა ამ კრიტერიუმების შესახებ?

3. გაქვთ თუ არა შემუშავებული კრიტერიუმები მოვლენების პირდაპირ ეთერში (მაგ. ფეისბუქ ლაივი) გაშუქებისთვის? როდის რთავთ პირდაპირ ეთერს და რა მითითებები აქვთ ჟურნალისტებს, რომლებიც აქციებს აშუქებენ ამ გზით?
4. აკეთებენ თუ არა ჟურნალისტები კომენტარებს ფეისბუქ ლაივის დროს? არის თუ არის თემები, სადაც ფიქრობთ რომ განსაკუთრებით აუცილებელია ჟურნალისტის კომენტარი?
5. გაქვთ თუ არა წინასწარ შეთანხმებული ტერმინოლოგია, როგორ შეიძლება მოიხსენიოთ ულტრანაციონალისტური ჯგუფები? როგორია ეს ტერმინოლოგია?
6. ამ ტერმინოლოგიაზე შეთანხმება როგორ მოხდა? იყვნენ ჟურნალისტები ჩართულნი? გაიარეთ კონსულტაცია ამ თემაზე მომუშავე მკვლევრებთან, ორგანიზაციებთან?
7. გიკითხავთ თუ არა მათთვის, როგორ სურთ მოხსენიება? თუ კი, როგორ? თუ არ გიკითხავთ, რატომ?
8. საიდან იღებთ ინფორმაციას ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივობებისა და მათი განცხადებების შესახებ?
9. გაქვთ თუ არა მათთან პირდაპირი კომუნიკაცია? გყავთ პირადი წყაროები ამ ჯგუფებში?
10. თვითონ გაწვდიან თუ არა ინფორმაციას სხვადასხვა სახით, მათ შორის, პრესრელიზებით? მათი მხრიდან კომუნიკაცია არის თუ არა პროაქტიული?
11. ფასიანი მომსახურების ფარგლებში ავრცელებთ თუ არა ულტრანაციონალისტური ჯგუფების განცხადებებსა და აშუქებთ თუ არა მათ აქტივობებს? გთხოვთ, ნებისმიერი პასუხი დაასაბუთოთ.
12. ვთქვათ, მიიღეთ პრესრელიზი, რომლითაც ცნობილი ხდება რომ ულტრანაციონალისტური ჯგუფები მართავენ პრესკონფერენციას, გაუშვებთ თუ არა ჟურნალისტს ამ თემის გასაშუქებლად? რა მითითებებს მისცემთ? აქვს პრესკონფერენციის თემას მნიშვნელობა თუ ყველა შემთხვევაში გაუშვებთ? რა ფორმით გააშუქებთ?

13. ვთქვათ ულტრანაციონალისტური ჯგუფები მართავენ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი აქციის კონტრაქციას. გააშუქებთ? რა მითითებებს მისცემთ ჟურნალისტებს? გექნებათ პირდაპირი ეთერი? თუ კი რა სტანდარტით აშუქებთ?
14. ვთქვათ, ულტრანაციონალისტური ჯგუფის ლიდერი ავრცელებს ფეისბუქ სტატუსს, სადაც მოუწოდებს საზოგადოებას გაერთიანდნენ და გამართონ აქცია საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად ირანელი მოქალაქეების წინააღმდეგ. გააშუქებთ ამ სტატუსს? რა ფორმით?
15. თქვენი პასუხებიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ შემთხვევებში როგორც მოიქცეოდნენ თქვენი რედაქციის ჟურნალისტები? ცალსახა და ნათელია მათთვის რედაქციის მიდგომები? ისინიც ასევე უპასუხებდნენ ამ კითხვებს?
16. როდესაც მათ მოიხსენიებთ ჰომოფობიურ, ნეონაცისტურ, ფაშისტურ ჯგუფებად, მათგან ყოფილა თუ არა უკუკავშირი და ამის გამო თუ გამოუთქვამთ პრეტენზია? რა სახის იყო ეს პრეტენზია და როგორია თქვენი პასუხი?
17. გიფიქრიათ თუ არა იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა აქტივობით ცდილობენ თქვენი ყურადღების მიპყრობას, რათა გააშუქოთ? ვთქვათ, წერენ სკანდალურ ფეისბუკ სტატუსს, რომ მიიქციონ თქვენი ყურადღება, ან მართავენ ხმაურიან აქციას ასევე თქვენი ყურადღების მისაქცევად.
18. არსებობს თუ არა საფრთხე, რომ თქვენ გახდეთ მათი მოსაზრებების მთავარი გამავრცელებელი და დაეხმაროთ მათ მოხვდნენ მედიის დღის წესრიგში?